არც მწამებია, არცა მრწამს შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მოწამეთა

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის სადროშოს ყოველთვიური გაზეთი ● მარტი-აპრილი (III-IV) 1990 წ.


## ეროვნული კათარზისის დღე

9 აპრილი, 1989!

ისტორიამ იცის სისხლით დაწერილი თარიღები, ჟამთასვლამ გაუხუნებლად შემოინახა ყოველი მათგანი.

აგერ, ჩვენს თვალწინ, კიდევ ერთი ასეთი თარიღი ამოკვეთა საუკუნემ თავისი ულმობელი სისასტიკით:

9 აპრილი, 1989!

...იდგა ჩვენი ყოფის ჭაობი და თითქოს მტკნარი ზედაპირით იფარავდა 68 წლის მანძილზე ნაგროვებ ლაფს. იმ ლაფში კი გათანგული ეროვნული სული იწვა. მერე მძვინვარე ქარაშოტივით ამოაპო ჭაობის ზედაპირი ერის სულმა, მთელი თავისი სპეტაკი სიდიადით წამოიმართა ჩვენს თვალწინ და იმ ჭაობის სიბლანტე დასძრა, შიგნეული ამოუბრუნა. ზედაპირზე ტალღები წარმოქმნა, ისტორიის სიმყაყვეთაგან გამოჭმული ფსკერი დაბზარა, ყოველ ჩვენგანში ამოზიდა ღრმად ჩამარხული ღვთაება. იმ თეთრმა ვეშაპმა კი ერთ მშვენიერ დღეს დაფლითა სამოცდარვა წლის მანძილზე შემოხვეული რკინის ბადე...

იყო 9 აპრილი, 1989!

შეშფოთდა ჭაობის უფალი, საკუთარი თვალით რომ იხილა მოსალოდნელი აღსასრული, მიხვდა, რომ თავისუფლების ზარმა დარეკა და.. .აზორგებულმა ბოროტმა ძალამ უმალ მოიძია ორლესული ნიჩნები, ხელკეტები, ქიმიური იარაღი, რათა მოესრა, ჩაეხშო, ჭაობშივე ჩაებრუნებინა ერის აღზევებული სული.

ყვავილებითა და სიმღერებით ეგებებოდა სამშობლოს თავისუფლების განთიადს ჩვენი ახალგაზრდობა ,სანთლებითა და ჯვრებით მიდიოდა იმ ერთადერთი გზისკენ ერი და ბერი, ქალი და კაცი.

მაგრამ მოპირდაპირე მხარეს უკვე მზადდებოდა საუკუნის ტრაგედიის გენერალური გეგმა.. .სისხლში, ცრემლებში, ტკივილში, მწუხარებაში და... იმედში გათენდა —

9 აპრილი, 1989!

დიდება ამ დღეს! დიდება ქართული სულის ატორტმანებასა და აზობოქრებას!

დიდება ცხრა აპრილის იმ უსაზღვრო მწუხარებას, რომელმაც ჩვენი ერის თავისუფლების იმედი შვა!

ვერა, ვერ აღისრულა წითელმა ეშმამ თავისი საწადელი, იმ ორლესული ნიჩბებით მხოლოდ საკუთარი საფლავი ამოითხარა ძალამ ბოროტმა.

ჩვენ კი საბოლოდ გამოგვაფხიზლა წმინდა სისხლმა ,საკუთარი დებისა და ასულების, საკუთარი ძმების ანკარა სისხლმა, რუთაველის პროსპექტს რომ ნაკადულებად დაუყვა. სწორედ უმანკო სულთა მოწამებრივი სიკვდილით დაიწყო კათარზისი ერის სულისა. არა, არ მომკვდარან, უკვდავებაში დაიბინადრეს 9 აპრილის გმირებმა.

შეიშრე ცრემლი, ჩვენო პატარა, ტანჯულო მამულო!

შენ არ შეგშვენის გლოვა და ზარი, შენ არ შეგვშენის მუხლზე დაცემა. იმიტომ, რომ შენი შვილები გმირებად იბადებიან, შენი პატარა გოგო-ბიჭები ენის ამოდგმისთანავე მამულის თავისუფლებას ავედრებენ დედა-ღვთისმშობელს.

გმართებს გამძლეობა, გმართებს შემართება და მხრების გაშლა!

ჰოი, მამულო!

შენი იყო დიდგორიც და ბასიანიც, შენი იყო ასპინძაც და მარაბდაც, მარტყოფიც და კრწანისიც...

და 9 აპრილიც 1989 წლისა!

მაგრამ შენი იქნება სულ სხვა დღეც, სხვა შუქითა და რწმენით გათენებული, სხვა ალ-



მაფრენით გასხივოსნებული.

იმ დღეს აპრილის თვეში დაცემულთა ნათელი სულებიც შემოგეხვევიან, მოგეფერებიან, გაგიყურჩდებიან, შენი თავისუფალი ზეცის ლაქვარდებში დაივანებენ.

აი, იმ წუთებს შევნატრით, იმ ბედნიერი მომავლისათვის გვინდიხარ, ჩვენო მრავალტანჯულო მიწავ, ქართულო!

## ნანაბრების ფერდობზეც ხვრეტდნენ

„მოწამეთას" პირველ ნომერში გამოქვეყნდა განცხადება, რომ: „რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება და ქალაქის არქიტექტორთა კავშირი აპირებენ, გამოაცხადონ კონკურსი უდანაშაულოდ დაღუპულთა მემორიალის ასაგებად". აქვე მითითებული იყო მემორიალის ასაგები ადგილი — საღორიის ტყე. ვითარება შეიცვალა. განცხადებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია: რედაქციაში გვეწვივნენ, ხმა მოგვაწვდინეს ტელეფონით, მოიწერეს ბარათები... ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ადასტურებს, რომ „მხვრეტელთა" ორგანიზაციას მხოლოდ ერთი ამორჩეული ადგილი როდი ჰქონია: ერთნი ასახელებენ და უთითებენ კიდეც ადგილმდებარეობას, რომ ამ სისაძაგლეს ჩადიოდნენ არა მხოლოდ საღორიის ტყეში, არამედ საფიჩხიის სასაფლაოს სამხრეთ-დასავლეთის ფერდობზე, წყალწითელას ხეობისაკენ; მეორენი უჩვენებენ ტაბიძის ქუჩაზე მდებარე კგბ-ს ეზოს უკანა ნაწილზე; მესამენი — საფიჩხიის გადათავდალმართებულს, ძველი ნანაბრებისა და ახლანდელი ჩხობაძის ქუჩის მიდამოებს, მეოთხენი კაჟინარის ტყეზე...

როგორც ხედავთ, მემორიალის ასაგები ადგილის შერჩევა ჭერჭერობით საჭოჭმანო საქმეა. ეტყობა, ეს ჩამონათვალი საბოლოო არ არის. კვლავაც ველით თქვენს გამოხმაურებას, პატივცემულო მკითხველო.

მანამდე კი მადლობას მოვახსენებთ ყველა იმ ადამიანს, ვინც გულთან მიიტანა განცხადებაში გამჟღავნებული თხოვნა და არ დაიზარა, ხმა მოეწვდინა.

განსაკუთრებით კი მადლობას ვუძღვნით პატივცემულ პლატონ ღურჭუმელიძეს მეტად საყურადღებო ცნობების მოწოდებისათვის და ქალბატონ ვენერა მესხი-დიაკონიძეს, ვინაც ხუთი ათეული წლის იქეთური, ფაქტიურად თავისი ბავშვობის დროინდელი ტყის გეოგრაფია აღიდგინა და, მიუხედავად თავისი ხანდაზმულობისა, მთელი კაჟინარის ულრანი გადაგვაქექინა — უდანაშაულოდ დაღუპულთა სავარაუდო საძმო სამარე მოგვანახვინა.

ღმერთმა გიშველოთ თანადგომისთვის!

**იმერ ყურუა**

## წერილი მოწამეთადან

მოწამეთა" შენთა უფალო, დავით და კონსტანტინე, ღვაწლსა შინა თვისსა გვირგვინი მოიგეს უხრწნელებისა, შენ მიერ ღვთისა ჩვენისა, რამეთუ აქუნდათ მათ შენმიერი ძალი, და მძლავრი დაამხვეს, და შემუსრეს კერპთა იგი უძლიერი ძალი მათითა მეოხებითა ქრისტე ღმერთო, აცხოვნენ სულნი ჩვენნი".

ტროპარი მოწამეთა

უცნობი ავტორი, რომელმაც აღწერა ღვაწლი და წამება წმიდა მოწამეთა დავით და კოსტანტინე მხეიძეთა, — არგვეთის მთავართა, გვაუწყებს შემდეგს: — ...„და ვითარცა განთენდა ,იპოვნეს ნებითა ღმრთისაითა თავსა ზედა კლდისასა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქვიან წყალწითელი რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე-ქალაქ და ერმრავალ, ხოლო ყრუსა მურვანსა გამოელო და აეოხრა და დაეწვა, და იყო უკაცურ და დარღვეულ ეკლესიათ. ხოლო ქვეშე კერძო ეკლესიისა აკლდამა იყო შენ და უვნებელ და არავინ იყო მკვდართაგანი მუნ შინა მდებარე. და მას, შინა დაჰკრძალეს გვამნი წმიდათა მოწამეთანი.

ხოლო იყო უჩინო და დაფარულ ვიდრე დღეთამდე დიდისა ხელმწიფისა ბაგრატისამდე. და აღიძრა სულისა მიერ წმიდისა და აღაშენა ადგილი იგი მონასტრად უდაბნოებისა და მყუდროებისათვის მის ადგილისა. და აღაშენა საწამებელი წმიდათა მათთვის მოწამეთა, ტაძარი შვენიერი. და ცხადად საანჯმნო ყვნა გვამნი იგი წმიდათა მოწამეთანი და დაასვენა მის მიერ აღშენებულსა მას ტაძარსა შინა კუბოითა შვენიერითა. და არიან მას შინა მდებარე გვამნი წმიდათა მოწამეთანი დავით და კოსტანტინესნი განუხრწნელნი და უვნებელნი და ყოვლად გებულნი, ვითარცა — ესე თვით მათ ითხოვეს ღმრთისაგან. და ჰკურნებენ ყოველთა ვნებულთა, რომელნი სრაწმუნოებით მოვლენან ტაძრად მათდა, რამეთუ მიიღებენ კურნებასა სულთა და ხორცთა მათთასა"...

თორმეტ საუკუნე ნახევარზე მეტი გვაშორებს დღიდან დავით და კოსტანტინეს წამებიდან დღემდე მას შემდეგ მონასტერი მრავალგზის იქნა დარბეულ-დაქცეული მტერთაგან. მაგრამ მიუხედავად ჟამთა სიავისა, დგას დღეს ტაძარი კეთილად დაცული, სადიდებელად ღვთისა და განსასვენებლად წმიდა ნაწილთა დავით და კოსტანტინესი, ადგილსა მას წმიდასა, რომელსა ჰრქვიან მოწამეთა.

ადგილი, თავისი ბუნებითა თუ მდებარეობით იზიდავს და ხიბლავს, როგორც ქართველთ ისე, სხვა ტომის წარმომადგენელთ.

მოწამეთაზე დიდი აქცენტია გაკეთებული ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლებისაგან, რათა იგი გახდეს უფრო მეტად კეთილმოწყობილი და ხელმისაწვდომი საქართველოში ჩამოსული უცხოელი თუ სხვა ტურისტისათვის.

გასაკეთებელი მართლაც, რომ ბევრია. არის ჩასატარებელი აღდგენითი სამუშაოები მონასტრის შემოგარენში, სარემონტო შესაკეთებელია სახლი.

თვით ტაძარი მოსახატია და კანკელი გამოსაცვლელი.

არის იმედი, რომ სულ მალე ღვთის შეწევნით და ღვთისნიერი ადამიანების თანადგომით მოწამეთას, მონასტერმა უნდა ფერი იცვალოს და იქცეს იგი როგორც სულიერი, ისე ესთეტიური სიამოვნების მომგვრელ კერად. ამის ყველა პირობა აქვს ადგილს ბუნებრივად. ხოლო მის შემდგომ კეთილმოწყობას, ვფიქრობ, დიდხანს არ დავაყოვნებთ.

ღმერთი ეწეოდეს ყველას, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ საშვილიშვილო საქმეში.

წმიდა დავით და კოსტანტინე იყოს იმათი და მათი ოჯახების მფარველი. ამინ.

**ბერდიაკონი**
**ევსევი სოხაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხალხმრავალი მიტინგი ქუთაისში

ა/წ. 27 მარტს დავით აღმაშენებლის მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი მიძღვნილი ლიტველი ხალხის სოლიდარობისა და ურთიერთმიტევებისადმი.

მიტინგში მის ინიციატორ, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ქალაქში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, ორგანიზაციებმა და საზოგადოებებმა. სიტყვებით გამოვიდნენ: ზაალ ლომთაძე, ალეკო სანდუხაძე, ომარ ნიშნიანიძე, ფირუზ დიაკონიძე, გურამ ბუაძე, გიზო თავაძე, მამუკა ქაჯაია, მერაბ გვაზავა.

**მიტინგმა მიიღო რეზოლუცია.**

დეპეშები დაეგზავნათ — **ვიტაუტას ლანდსბერგისსა და მიხეილ გორბაჩოვს.**

## რეზოლუცია

ჩვენ, ქუთაისის მოქალაქენი, მხარს ვუჭერთ რა ლიტველი ხალხის სამართლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მივმართავთ მოთხოვნით:

1. დაუყოვნებლივ იქნეს აღიარებული ლიტვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ — ლიტვის სეიმის 12 მარტის გადაწყვეტილების თანახმად.
2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ გაკეთდეს განცხადება ლიტვის რესპუბლიკის მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური პრეტენზიების უქონლობის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება
წმინდა ილია მართალის ქუთაისის ორგანიზაცია
ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ქუთაისის ორგანიზაცია
ჰელსინკის კავშირი — ეროვნული აღორძინება
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი
რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება

# სამი საკითხი ლენინის შესახებ

შარშან, 3 დეკემბერს, ჩვენს გაზეთში * დაიბეჭდა ინტერვიუ როი მედვედევთან, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილული იყო საბჭოთა კავშირში ალექსანდრე სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგის“ გამოცემის შესაძლებლობაც. მედვედევი ბრალს დებდა სოლჟენიცინს ლენინისადმი ცილისწამებაში და თავის შეხედულებას ადასტურებდა შემდეგი სამი მაგალითით:

„პირველი — 50 მილიონი ოქროს მარკის შესახებ, რომელიც ბანკირებმა ლენინს მისცეს რევოლუციის მოსახდენად;

მეორე — ებრაელებმა შექმნეს რუსეთში ბანკების იატაკქვეშა სისტემა, და იგი აფინანსებდა ბოლშევიკურ პარტიას;

„მესამე — სპეკულაცია ლენინის ავადმყოფობის შესახებ“.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ „არქიპელაგის“ ფურცლებზე ამის მსგავსი არაფერი წერია. მასში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი არც მილიონობით მარკაზე, არც იატაკქვეშა ბანკებზე და არც ლენინის ავადმყოფობაზე. საიდან მოიტანა ეს „ცრუ ფრაგმენტები“ როი მედვედევმა და რა მიზნით მიაწერა ისინი „არქიპელაგს“ — ეს თვითონ მან უნდა აგვიხსნას.

მეორე მხრივ, ამ ფაქტებს კომენტატორი განიხილავს როგორც ყალბსა და მოჭორილს, რითაც ნათლად ამჟღავნებს არამარტო „არქიპელაგის“ უცოდინარობას, არამედ გასაოცარ ჩაუხედაობას მსოფლიო „ლენინიანაში“. ბევრი მკვლევარი უკვე დიდი ხანია ამუშავებს ამ მაგალითებს, როგორც ისტორიული სიუჟეტების საინტერესო და ნამდვილ რეალიებს.

პირველი — 50 მილიონი ოქროს მარკის შესახებ. ეს რიცხვი პირველად დაასახელა გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა, უმაწვილკაცობაში მარქსის საყვარელმა მოწაფემ, ხოლო შემდგომში მისმა ცნობილმა კრიტიკოსმა ედუარდ ბერნშტეინმა სტატიაში „ბნელ ისტორიაში“, რომელიც 1921 წ. 14 იანვარს გაზეთ „ფორვერტსში“ გამოქვეყნდა. ბერნშტეინი წერდა: „ლენინმა და მისმა ამხანაგებმა კაიზერული გერმანიისაგან დიდძალი თანხა მიიღეს. ეს ფაქტი ერთი ჩემი მეგობრისაგან გავიგე ჯერ კიდევ 1917 წლის დეკემბერში, შემდეგ ეს ამბავი გამოვკითხე მავან პირს, რომელიც სხვადასხვა დაწესებულებასთან კავშირის გამო საქმის კურსში უნდა ყოფილიყო. მისგანაც დადებითი პასუხი მივიღე. მართალია, მაშინ მე არ ვიცოდი თანხის რაოდენობა და ის თუ ვინ იყო შუამავალი გადაცემის დროს. ახლა კი მაქვს ცნობები, რომელთა წყარო ნდობას იმსახურებს, მათში ლაპარაკია თითქმის დაუჯერებელ თანხაზე, რომელიც უეჭველად აჭარბებს 50 მილიონ გერმანულ ოქროს მარკას — (გახაზულია ბერნშტეინის მიერ — ა. ს.).

ასე რომ, არც ლენინს, არც მის ამხანაგებს არავითარი ეჭვი არ შეპარვიათ ამ ფულის წყაროს შესახებ.

ედუარდ ბერნშტეინი 1921 წელს გერმანიის ფინანსთა მინისტრის მოადგილე იყო, ავტორიტეტული საზოგადო მოღვაწის სახელით სარგებლობდა და შეუძლებელია მისი სიტყვებისათვის ყური არ მიეგდოთ. როგორი რეაგირება მოახდინეს ლენინმა და მისმა ამხანაგებმა? თავისებურად კეთილგონივრული — წაუყრუეს... გამოეხმაურა მხოლოდ „როტეფანე“ — გერმანელი კომუნისტების გაზეთი:

„ედუარდ ბერნშტეინი, როგორც საზღვარგარეთ, ასევე გერმანიაში აქამდე პატიოსან კაცად ითვლებოდა და არა უბრალო ჭორიკანად. ამიტომ ჩვენ მას ვთხოვეთ დაგვისახელოს ამ ფაქტის წყარო და ინფორმატორი, უკეთუ იგი ამას არ იზამს, ჩვენ მოგვიწევს ბერნშტეინი საჯაროდ გამოვაცხადოთ არათუ ჭორიკანად, არამედ ცილისმწამებლად“.

ბერნშტეინის პასუხს ალბათ როი მედვედევიც მოიწონებდა. მან ინფორმატორს აღუთქვა, რომ არსად გაამხელდა მის ვინაობას. ასე რომ „როტეფანესა“ და ლენინის ამხანაგებს საშუალება ჰქონდათ სასამართლოში ეჩივლათ ბერნშტეინისათვის, როგორც ცილისმწამებლისათვის, და ეს უკანასკნელი იძულებული გახდებოდა დაესახელებინა ინფორმაციის წყარო. მაგრამ ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ბერნშტეინის სიკვდილამდე, 1932 წლამდე, არავის გამოუყენებია ჭორის აღკვეთის ასეთი საუკეთესო საშუალება.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გერმანიის არქივებში აღმოჩნდა დოკუმენტური ცნობები იმის შესახებ, რომ იმპერიული გერმანია აფინანსებდა რუსეთის პროლეტარულ რევოლუციას. დოკუმენტების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია დასავლეთის ისტორიკოსების კატკოვის, ზემანისა და შარლაუს, შერერისა და გრუნევალდეს, ფუტრელისა და სხვათა სტატიებსა და წიგნებში, ისტორიული სიმართლის დადგენისათვის საჭირო ხომ არ არის ამ დოკუმენტების და არა „ყალბი ფრაგმენტების“ საბჭოთა კავშირში სათანადო კომენტარებით გამოქვეყნება?

მეორე — ებრაელთა მიერ შექმნილი იატაკქვეშა ბანკების სისტემის არსებობის შესახებ. ამ ფაქტის კომენტარი ლაკონურია: „ასეთი სისტემა არ არსებობდა“. ებრაელებს მართლაც არ შეუქმნიათ იატაკქვეშა ბანკები — ეს აბსოლუტური სიმართლეა, როგორც ის, რომ ამგვარ ბანკებზე არაფერი აქვს ნათქვამი არა მარტო სოლჟენიცინს „არქიპელაგში“, არამედ არცერთ ისტორიკოსს. როი მედვედევს, როგორც ჩანს, რაღაც გაუგონია დროებითი მთავრობის მიერ ლენინის მხილების შესახებ გერმანელ აგენტებთან — პარვუსთან და განეცკისთან დაკავშირებით. მაშინ ბანკები მართლაც მოიხსენიებოდნენ, მაგრამ ეს იყო სავსებით ლეგალური „ციმბირის სავაჭრო“, „აზოვ-დონის“, „რუსული საგარეო ვაჭრობის“ სამამულო ბანკები. „არქიპელაგს“ გამოგონილ ებრაულ ბანკებს რომ მიაწერდა, კომენტატორს აშკარად უნდოდა ეჩვენებინა წიგნის არა მარტო ცილისმწამებლური, არამედ ანტისემიტური ხასიათიც.

1917 წლის ივლისში პეტროგრადის სასამართლო პალატის პროკურორმა გამოაქვეყნა „ლენინის, ზინოვიევის და სხვათა ბრალდება სახელმწიფო ღალატში“, რომელშიც იყო ასეთი პუნქტები (ციტირებულია მაქსიმ გორკის გაზეთის „ნოვაია ჟიზნის“ მიხედვით):

„წინასწარი გამოძიების მონაცემებში არის პირდაპირი მითითებები ლენინზე, როგორც გერმანელთა აგენტზე და ნაჩვენებია რომ, დადო რა გერმანიის მთავრობასთან შეთანხმება იმ მოქმედებათა შესახებ, რომლებიც გერმანიის წარმატებას შეუწყობდნენ ხელს რუსეთთან ომში, იგი ჩავიდა პეტროგრადში, სადაც გერმანიისაგან ფულადი მხარდაჭერის წყალობით თავისი მიზნის მისაღწევი საქმიანობა წამოიწყო“.

„სასამართლოს განკარგულებაში არსებული მრავალრიცხოვანი სატელეგრაფო კორესპონდენციების თვალის მიდევნებითაც ნათელი ხდება, რომ პეტროგრადში მცხოვრებ სუმენსონს, ლენინს (ულიანოვს), კოლონტაიასა და კოზლოვსკის ერთი მხრივ, ხოლო ფიურსტენბერგს (განეცკის) და გელფანდს (პარვუსს) შორის — მეორე მხრივ, იყო მუდმივი და ხშირი მიმოწერა. თუმცა მას კომერციული გარიგების ხასიათი ჰქონდა — სხვადასხვა სახის საქონლის გაგზავნა და ფულადი ოპერაციები, მაგრამ ყოველივე ეს მაინც გვაძლევს საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ დავასკვნათ, ეს მიმოწერა ჯაშუშური ხასიათის ურთიერთობას წარმოადგენს ბანკების შესახებ.

საქმეში არსებული მონაცემებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი რუსული ბანკი იღებდა სხვადასხვა პირების მიერ გაცემულ დიდ თანხას.

ბრალდებას პარვუსსა და განეცკისთან დაკავშირებით ლენინმა „ბილწი ცილისწამება“ უწოდა. „ყველამ იცის, რომ განეცკის ფულადი საქმე ჰქონდა პარვუსთან, ხოლო ჩვენ განეცკისთან — არავითარი“, „ბინძური ცილისწამებისა და ბნელი ხმების გამავრცელებლებს“ ლენინი სასამართლოთი დაემუქრა: „ახლა ცილისმწამებლები პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე. ამ მხრივ საქმე მარტივი და იოლია“.

მერე და ვინ მიათრია ცილისმწამებლები სასამართლოში? არავინ... გაცლა ამჯობინეს.

1923 წელს, როცა ლენინი სტალინს წაეკიდა და შეეცადა მის გადაყენებას გენერალური მდივნის პოსტიდან, პარტიულ ჟურნალ „პროლეტარსკაია რევოლუციაში“ (№ 9) გამოქვეყნდა ლენინის წერილები განეცკისადმი. აღმოჩნდა, რომ მას თურმე ჰქონია ფულადი ურთიერთობა განეცკისთან, რომელსაც „როგორც ყველამ იცის“, ასეთივე ურთიერთობა ჰქონდა პარვუსთან, გერმანიის აშკარა აგენტთან. სხვათა შორის იგი 1915 წ. ლენინმა დაგმო, როგორც გერმანელი პლეხანოვი... ჩექმებს რომ ულოკავდა ჰინდენბურგს“.

მესამე — სპეკულაცია ლენინის ავადმყოფობის შესახებ. სპეკულაციაში, რასაკვირველია, იგულისხმება სიფილისის, როგორც ლენინის ნაადრევი სიკვდილის მიზეზის, ვერსია. თუმცა მისი ჩათვლა ცილისმწამებლურად არც თუ საფუძვლიანი იქნება, ვიდრე იმ აზრისა, როი მედვედევი რომ იცავს — თითქოს ლენინის სიკვდილის მიზეზი ფანი კაპლანის ტყვიები გახდა („დაჭრის შემდეგ შევიწროებულმა საძილე არტერიამ გამოიწვია ათეროსკლეროზი“). ჯერ კიდევ 1924 წლის თებერვალში „მედვედევისეული“ ვერსია უარყო ისეთმა ოფიციალურმა პირმა, როგორიც ჯანმრთელობის დაცვის სახკომი სემაშკო იყო. „ვლადიმერ ილიას ძის დაჭრას პირდაპირი გავლენა ტვინის სისხლძარღვების დაავადებაზე არ მოუხდენია“, ხოლო ორი ცნობილი ექიმი, ვ. ნ. როზანოვი და ა. მ. კოჟევნიკოვი, რომლებიც ლენინის მკურნალობაში მონაწილეობდნენ, კიდევ უფრო გარკვეულად ამბობენ:

„გაფიქრება იმისა, რომ ტყვიებს, რომელთაგან ერთი ამოვიღეთ 1922 წელს, ხოლო მეორე შეგნებულად ჩავტოვეთ, შეეძლოთ გარკვეული როლი ეთამაშათ ვლადიმერ ილიას ძის ავადმყოფობის განვითარებაში, არ შეიძლება“.

(პროფ. როზანოვი, „იზვესტია“, 1924 წ. 29 იანვარი).

„თავდაპირველად, როცა მისი ავადმყოფობის მიზეზს ვეძებდით, გამოითქვა ვარაუდი — ორგანიზმის ტყვიის ნივთიერებით მოწამვლის შესახებ, მაგრამ ეს ვარაუდი მალე უკუგდებული იქნა, რადგანაც მოწამვლის სიმპტომები სრულიად სხვაგვარია“.

(პროფ. კოჟევნიკოვი, იქვე).

როგორც „სპეკულაციის“ წინააღმდეგ მთავარ არგუმენტს, როი მედვედევი იმოწმებს გერმანელ ექიმთა ცნობებსა და ავტორიტეტს. „გერმანელმა ექიმებმა აწარმოეს ავადმყოფობის დაწვრილებითი აღწერა და მისი მკურნალობა“ და არ გამოუვლენიათო სიფილისი. მაგრამ შვედი ექიმი ფოლკ ხენშენი, რომელიც გერმანელებთან ერთად ჩართეს კონსილიუმებში 1923 წელს, ადასტურებს: „გერმანელი ექიმები მეტნაკლებად იყვნენ დარწმუნებულნი დიაგნოზში — ტვინის სიფილისში“.

(„შორი გზა სალამანკამდე“, სტოკჰოლმი, 1957 წ.).

ლენინის ავადმყოფობაზე „სპეკულაციას“ მხოლოდ მას შემდეგ მოეღება ბოლო, როცა გამოიცემა „ვლადიმერ ილიას ძის ავადმყოფობის ისტორია“ — წიგნი, რომელშიც დღეების მიხედვით იწერებოდა ყოველივე. ეს საშუალებას მოგვცემს დავსვათ საბოლოო და უტყუარი დიაგნოზი.

ნუთუ ამ წიგნსაც იდეოლოგია აკრძალავს, როგორც ლენინზე ცილისწამების შემცველს?

**ა. სერებრენიკოვი,**
წიგნის ისტორიულ-დოკუმენტური სერიის „ტელექსის“ გამომცემელი. ჯერსი-სიტი, ნიუ-ჯერსის შტატი, აშშ.

1989 წ. 7 თებერვალი.

რამდენადაც ამ წერილს პასუხი არანაირ ფორმაში არ მოჰყოლია, მე იგი ღიად მიმაჩნია. (ა. ს.).

* იგულისხმება გაზეთი „ატმოდა“, სადაც ა. სერებრენიკოვის წინამდებარე წერილი დაიბეჭდა.







**ჯვრის ჩამოგდება**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალ ორშაბათს ლელა ჩამოსული იქნებაო, შეგვპირდნენ და ჩვენც მივაკითხეთ სოფელ ნინოშვილში ჩხარტიშვილებს. სახლში ქალბატონი ლუბა დაგვხვდა. ბავშვი არ გამოუშვეს მეცნიერებმა და ლიაც რუსთავში წავიდაო, გვითხრა.

რაღა უნდა გვექნა, ხელთ დაგვრჩა მხოლოდ ლიას მიერ შედგენილი დღიური, რომელშიც ქრონოლოგიურადაა ჩაწერილი 27 სექტემბრისშემდგომ დღეებში განვითარებული მოვლენები. მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ზოგიერთ მნიშვნელოვან ჩანაწერზე.

3 დეკემბერი

თბილისიდან დავბრუნდით, ჩვენი მეგობრები შვიდ საათზე მოგვესალმნენ. ლელას უთხრეს, ელიკო ჩამოვიდაო. რომ არ ჩამოსულიყო, ვაიძულებდით და მაინც ჩამოვიყვანდითო. ელიკოსთან საუბარი მიყვარსო, ოთარ ბატონმა, მეორე სართულზე შემხვდეს, მასთან მაქვს საქმე პირადადო, მთხოვა. ელიკომ უარი თქვა, მეშინიაო.

ვთხოვეთ, ლევანი მოაჭკვიანე, თუ შეგიძლიათთქო. ლელას ჯოხზე მიუთითა, ამ ჯოხს დაარტყამ თავზე და მოჭკვიანდებაო. გაგვაფრთხილა, თავს ერიდეთ, მისგან საშიშროება მოგელით, საწამლავს ჩაგიყრით რაღაცაში. თქვენთან უაცრად, რომ კვდებიან, ასეთი თავის ბრალიაო.

4 დეკემბერი

მოვიდნენ სამ საათზე. ლელამ დაინახა ელიკომ ვერა. როგორ გეძინათო, დაინტერესდნენ, ლელა და ელიკო სულ ერთად დაწვესო. ელიკოს უთხრა, შენს სამსახურში საქმეები კარგად არის, ხანამ მე არ გეტყვი რუსთავში არ წახვიდეო. ჩექმა რატომ დაუჭერი ელიკოსთქვა, ვკითხეთ. მისი სიყვარულით მომივიდაო, გვიპასუხა.

5 დეკემბერი

ლელა სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა. ბატონმა ოთარმა ფანჯარაზე დააკაკუნა. ელიკო რატომ არ მომესალმაო, ჯავრობდა. ჭიჭიკომ ლელას დაუწყო ყვირილი, ჰაერს რომ ესაუბრები, გამოდი და წიგნს მოკიდე ხელიო. ეს კაცი გააჩერეთ თუ არა უარესს დავმართებო, გაბრაზდა ბატონი ოთარი. ლელას უთხრა: თქვენ შეგიძლიათ ავადმყოფებს უმკურნალოთო.

თქვენ თუ შეგიძლიათ, კამფეტი მოგვიტანე, უთხრა ლელამ. ცოტა ხნის მერე ორი კანფეტი ჩამოაგდო, ერთი მთელი, მეორე, ნაჭამი. ეს გინდა თუ არა ელიკომ ჭამოსო, ძალით შეაჭამა.

ნამცხვარი გამოგიცხვეთო, — ლელამ. უკვე გავსინჯეთ და მოგვეწონაო. ვნახეთ ნამცხვარი, მართლაც ჩამოჭრილი იყო.

6 დეკემბერი

ნამცხვარი მოითხოვა. თუ შეიძლება სხვამ გამოგიცხოსთქო, ვკითხეთ. ნამცხვარი იყოს და რა მნიშვნელობა აქვსო. მანდარინები ჩამოყარეს, აუცილებლად ელიკომ ჭამოსო. მამათში ყოფნისას მეზობელი გადმოვიდა, ლაზარე, ელიკომ მასაჟები გაუკეთოსო, მერე ელდართან წავიდეს საავადმყოფოში, ავარიაში რომ მოხვდა, მასაც მოუსვას ხელი და მოარჩენსო. მართლაც გაიარეს საავადმყოფოში, ელიკომ ხელი მოუსვა. სახლში რომ დაბრუნდნენ, ჩვენმა მეგობრებმა გვითხრეს, მკურნალობა სწორად არ ჩაგიტარებიათ, ასე და ასე უნდა გექნათო, ასწავლეს.

8 დეკემბერი

შუადღისას მეცნიერები მოვიდნენ, ბატონმა ოთარმა ლელა და ელიკო სამზარეულოში გაიხმო, იქ დაუწყო საუბარი, თქვენს მეცნიერებს დავაჯერებო და ლელას ნაკაწრი გაუკეთა ხელზე. მეცნიერებმა სურათი გადაუღეს, სისხლის ანალიზი აუღეს ერთი საათის შემდეგ ნაკაწრი აღარ ჰქონდა. მეცნიერები რომ წავიდნენ ბატონ ოთარს ვკითხეთ, ასე მწარედ რატომ დაკაწრე ბავშვითქო, თვით ლელასთვის კარგია და მეცნიერებიც დაიჯერებენო.

9 დეკემბერი

საღამო ხანს მოვიდნენ: თალეს შონია, ერეკლე გამყრელიძე, გიგლა გობეჩია, ენვერ კილაძე, ბატონმა ოთარმა ლელას უთხრა, ერთერთი მეცნიერი გამოიყოლე და წამომყევითო. წავიდნენ ლელა, ელიკო და ბატონი თალესი. ცოტა ხნის მერე გზა აებნათ. ბატონი თალესი ლელას პირით დაემუქრა, გზა გვასწავლე თუ არა უკან დავბრუნდებიო. ამ დროს მათ ფეხებთან კანფეტები ჩამოცვივდა. ამის მერე ბატონმა ოთარმა ლელას უთხრა, ახლა თუ გინდათ ყველა წამოიყვანეთ ვინც ბრძანდებითო. ასეც მოიქცნენ. ღამის ათ საათზე განაგრძეს გზა ტყეში. ამ დროს ლელამ, დათომ და ერთმა მეცნიერ მუშაკმა სიბნელეში თეთრსამოსიანი კაცის სილუეტი შენიშნეს. შონიამ გაგვაფრთხილა, გაჩერდით, ნაბიჯი არ გადმოდგათ, აქ არის ნამყოფიო. ცოტა ზემოთ წავიდნენ. ჩვენ სახლში დავბრუნდით. მაშინვე მოგვაკითხეს ჩვენმა მეგობრებმა, რაღაც სიტყვები ჩაგვაწერინეს. ჩანაწერები მეცნიერებმა წაიღეს.

10 დეკემბერი

დილით წავედი ნაკვეთში ლიმონის დასარგავად. სახლში დარჩნენ ბავშვები და ელიკო. მოსულან მეგობრები. უცებ ლელა იატაკზე წაქცეულა, ხელ-ფეხი გაშეშებია, ენას ვერ ძრავდა. ელიკო მივარდნილა ბავშვის წამოსაყენებლად, ვერ დაუძრავს ადგილიდან. ნახევარი საათის შემდეგ ამოძრავებია ხელ-ფეხი, ენაც ამოუდგამს. ელიკოს უსაყვედურებია ლუდასა და ოთარისათვის, ასეთი თამაში არ შეიძლება, კინაღამ გადამრიეთო.

ეგ არაფერი, ლელას დავასხივეთ, ნახეთ თუ იზიდავს რამე საგნებსო. ვნახეთ, კოვზი და ფლომასტერი მიიზიდა. მათ ენაზე ზოგიერთი საგნის სახელები ჩაგვაწერინა: პოასნოვაია — ხომალდი. ცხლოლანდი — ცხოვრება. მიქპელონია — მეგობრობა, სიმონიოლა — სიყვარული. ავრიოლატი — ავტომანქანა, მაჰაგადი — მაგიდა. სტამალონი — სკამი.

11 დეკემბერი

საღამოს შვიდ საათზე დაგვიკაკუნა. მოგვესალმა და დაგვიწყო მკურნალობის სწავლება, ყველას ვასწავლით, მაგრამ ლელას ხელს მეტი ძალა იქნებაო.

14 დეკემბერი

ისევ შვიდ საათზე მოვიდა. ვთხოვეთ, ზოგ ადამიანს არ სჯერა თქვენი არსებობისა და ჩვენი ურთიერთობისა, ყველაფერს ჩვენს მონაგონად თვლიან, თქვენ არ გაგიჭირდებათ მათი დაჯერება. რაღაც დაუშავეთ, რომ მიხვდნენ. ასეთ რამეებს ნუ მთხოვთ. შენ ისეთ გოგოს ვაგზავნი, მთელი სოფელი დაიჯერებს. — კი გვაძლევ იმედებს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ჩანს.

— ლუდას ამჟამად ყოფნის, ყოველ მოსვლაზე რამაცას შევძენ. ნინოს დედამ ნამცხვარი გამომიცხოს. ახალ წლის თქვენს ზეიმს დავესწრები. საჩუქარი ჩემთვისაც გამოგატანონ, რომ ჩემი ბავშვები ოქროვნებური სათამაშოებით ვათამაშოო.

19 დეკემბერი

ჩვენთან იყვნენ: ნანა, ბადრი, მარგალიტა, იური, ნონა, ელგუჯა, ლადო, და მძღოლი. ყველას ჩაუტარა მკურნალობა. ფანჯარასთან აყენებდა და ეკითხებოდა ლუდას საშუალებით, როგორ გრძნობ თავსო, ზოგს დიდი ტემპერატურის შეგრძნება გაუჩნდა ზოგსაც სიცივისა. მკურნალობის შემდეგ შვება იგრძნეს. შემდეგ ლუდას პირით ყველას დაავალა შაბათისთვის ნამცხვარი მოეტანათ. ამდენი ნამცხვარი რად გინდათო რომ შეეკითხა ლუდა, შვილის დაბადების დღე მაქვსო. შემდეგ კითხვებს გასცა პასუხი.

კითხვა: დადგება თუ არა ის დრო, როცა თქვენთან კონტაქტის დამყარება არავის გაუკვირდება, არ შეეშინდება?

პასუხი: ადრე იქნება.

კითხვა: ლელას გარდა თუ აპირებთ სხვებთან კონტაქტის დამყარებას?

პასუხი: ჯერჯერობით არა.

კითხვა: რატომ მაინცდამაინც ლელა აირჩიეთ?

პასუხი: ეს ჩემი მიზანია.

კითხვა: განვითარების დონით დედამიწაზე ქალი მაღლა დგას თუ კაცი?

პასუხი: რა თქმა უნდა, ქალი.

კითხვა: რა მანძილზე ბრძანდებით აქედან?

პასუხი: შორი მანძილით.

კითხვა: რა დროს ანდომებთ აქ მოსვლას?

პასუხი: ხუთი წუთი ბევრია.

შემდეგ გვითხრეს, მივდივართო. ლელას ხუთი ცალი მაგნიტი დაუტოვეს, მეცნიერებს აჩვენე, გატნევით არ გაატანოო.

1 იანვარი

შუადღით ლუდა და ოთარი მოვიდნენ. ცალკე ოთახში გავიდნენ და ერთმანეთს ახალი წელი მიულოცეს. ელიკოს და ლელას შესთავაზა ფანჯრის რაფაზე შედექით და ისე წაგიყვანთ, არც შიშს იგრძნობთ, არც დაღლას. ჩვენ ვთხოვეთ, დღისით წაგვყვებითქო. არაფერი უთქვამთ. ელიკომ შეკითხვები მისცა:

# ლუბა, ლია, ლელა, ლადო, ლევანი და ჭიჭიკო





კითხვა: როგორი იქნება საქართველოს ბედი, თუ ვიქნებით ქართველი ხალხი თავისუფალი?

პასუხი: ქართველებს 2000 წლის ახალი წელი თუ გაუთენდათ, მერე ბედნიერი იქნებიან.

კითხვა: ჩვენ მეცნიერებს თქვენი გაცნობა სურთ, კონტაქტის დამყარება.

დატოვა უპასუხოდ. თქვენ კარგად იყავით მეცნიერებთან, ყველაფერი უამბეთ.

პირველი იანვრის შემდეგ დღიურში ჩანაწერები აღარ არის, როგორც ლიამ გვითხრა, ლელა ამის შემდეგ რუსთავიდან აღარ გამოუშვიათ მეცნიერებს, დღიურს ელიკო აგრძელებსო.

თითქმის თვენახევრის შემდეგ კვლავ ჩავაკითხეთ ოჯახს ნინოშვილში. ამჯერად დაგვხვდა ლია, ბავშვი საცხოვრებლად რუსთავში დატოვეს, სწავლაც იქ გააგრძელა 21-ე საშუალო სკოლაშიო. სამჯერ ჩავედით ნინოშვილში და ერთხელაც ვერ ვნახეთ ამ დაუჯერებელი ამბავის მთავარი გმირი. ლიამ რუსთავის მისამართი მოგვცა.

ადვილად მივაგენით ცხრასართულიან სახლს, რომლის მერვე სართულზე ბიძა-ბიცოლასთან ცხოვრობს ლელა ჩხარტიშვილი. სადარბაზოსთან მანქანების სიმრავლემ მიიქცია ყურადღება. სადარბაზოს წინ მეზობლები გამოსულიყვნენ. ერთმა თქვა: სხვები ტორტებით მოდიან, ესენი კიდევ ჩამადნითაო. ჩვენ ვყავდით მხედველობაში, რადგან ხელში დიპლომატი მეჭირა. ლიფტით რომ ავედით და ხალხით გაჭედით კიბეს მივადექით, ყველაფერი ნათელი შეიქმნა. ნამცხვრებით ხელდამშვენებული ხალხი თავთავიანთ რიგს ელოდნენ. კიბეზე ასვლა ვცადეთ, გაგვაჩერეს, აქ რიგია, ჯენაცვალე, ამ ხალხს რომ უყურებ ყველა ელიკო ჩხარტიშვილს უცდისო. რახან წინ არ გაგვიშვეს, დავრჩით რიგის ბოლოში. ერთი სეანსი ნახევარსაათიანია, ხმამაღლა თქვა შუა კიბეზე მდგომმა ჩვენს გასაგონად, ამ დროს კარი გაიღო. მომლოდინეთა მზერა ჯერ პატარა გოგონას შეხვდა მერე მის მომყოლთ. ერთი კაცი იყო, ორი ქალი. ამდენივემ სახლში შეინაცვლა და კიბეც შეშილიფდა. კარი ხელახლა გაიღო და ტანმორჩილი კაცი გამეტებით დაეშვა კიბეზე. ჩაგვიქროლა, შუა კიბეზე დაამუხრუჭა, მოგვიბრუნდა და გვკითხა, თქვენც ჩვენთან ხართო. თუ ოთარი გქვია, კი მეთქი. ოთარი მქვიაო. მაშინ ჩვენ ესა და ეს ხალხი ვართ, იმ საქმეზე კი არა, სულ სხვა საქმეზე-მეთქი. ვხვდები რა საქმეზეც ხართო, უადგილოდ ჩაიცინა ოთარმა, ცოტა დამელოდეთ პურს ვიყიდი ამოვბრუნდები და მოგიხერხებთ მიღებასო, დავლოცეთ ტორტი, რამეთუ მას არ შეუძლია შეცვალოს პური. როგორც დავასკვენით, შორს ჰქონია პურის მაღაზია თქო. ამის თქმა და ჩაირთო ლიფტი. მოდისო, თქვა ვიღაცამ და სინათლე წავიდა. ვიცდით სიბნელეში. ოთარი ლიფტშია გაჭედილი, ჩვენ კიბეზე. როდის-როდის ამოქოშინდა მასპინძელი მერვე სართულზე, ლიფტში გავეჭედეო, აგვიხსნა. ცოტა კიდევ დამელოდეთ და ახლავეო, შეგვპირდა.

ოთახში სივიწროვე იყო. მასპინძლებს გარდა სამი ახალგაზრდა, ორი ვაჟი და ერთი ქალი, კიდევ დაგვხვდა. ჩვენი მხრიდან სამი მივემატეთ და გაიჭედა ოთახი.

ლელა ელიკოს წინ იჯდა. ვთხოვეთ მოეთხრო, როგორ მოხვდა უცხო პლასნოვაიაზე (ხომალდზე) და როგორ დაბრუნდა უკან.

ლელამ უხერხულად აიჩეჩა მხრები, საიდან დავიწყოო, ელიკოსკენ მიბრუნდა. ელიკომაც შეაშველა, საიდან და სახლიდან რომ გავედით, სადარბაზოსთან რომ დავუცადეთ, როგორც შეგვპირდა, ოთხ იანვარს, 12 საათზე მოვალო და მართლა რომ მოვიდა, იქიდან დაიწყე. ჰო, ასე იყო, ოთხში, 12 საათზე პადიეზდთან დაგვიცადეთო, — ისევ მიუბრუნდა ბიცოლას მაზლიშვილი. მერე გააგრძელე, ლელა, როგორ მიგვიძღოდა წინ, ჩემს ნათებას მოყევითო რომ გვითხრა. თხუთმეტი წუთის მერე ერთმა წინ წადით, მეორემ უკან დარჩითო, რომ გვითხრა... მოყევი, ყველაფერი... სითბო რომ იგრძენი, თითქოს ქაღალდი იწვისო და მერე არაფერი რომ აღარ გახსოვს, ისიც თქვი, რა აღარ გახსოვს. მე პირადად ხომალდზე რომ გადავედი, მოვხვდი დიდ ოთახში. მთელი ჭერი გაჩახჩახებული იყო, სხვა ოთახში მე არ ვყოფილვარ.

ლელას ვკითხეთ, შენ რამდენი ოთახი დაათვალიერეთქო. მე ოთხიო. პირველში ისხდნენ ექვსი ბავშვი და რვა დიდი. ერთ ფეხიანი თეთრი მრგვალი მაგიდა და სკამები იყო სულ; მეორეში, აპარატები იდგა; მესამე ლაბორატორია უნდა ყოფილიყო; მეოთხე ცარიელი იყო მგონია, აღარ მახსოვს. ჰოი, იგიც მოყევი. რაც აღარ გახსოვს, — შეახსენა ისევ ელიკომ და თავად გააგრძელა:

მერე უცებ გავჩნდით ჩვენს სადარბაზოსთან. წვიმიანი ამინდი იყო ოთხ იანვარს, ტალახიანი, მაგრამ მთლად მშრალები მოვედით. ისინი მოსავლის მისაღებად ჩვენსავით კი არ წვალობენ. ერთ დღეს რომ დათესავენ, მეორე დღეს იღებენ თურმე. საშუალოდ 150-200 წელი ცოცხლობენ. ცოლ-ქმარი სიკვდილამდე ერთად არიან. განქორწინება არ იციან. სუფრები უყვართ. ჩვენი პლანეტა მათთვის მოწამლულია. ჩვენზე ლამაზები არიან. წარბები არ აქვთ, პირის ჭრილი ჩანა. კარტოფილივით ცხვირი და სამთითა ხელები აქვთ.

მაგიდაზე დიდი ტორტი იდო, ალბათ ოცდაათკვერცხიანი. ბატონი ოთარისათვის იყო გამზადებული. არავინ იცის როდის ჩამოჭრის ნამცხვარს. რატომღაც ამას ყოველთვის მაშინ აკეთებს, როცა ოთახში არავინაა. ყველა შემთხვევაში, ჯერჯერობით, არც შინაურებს და არც გარეულებს ტორტის ჭამის დროს არ უნახავს უცხო პლანეტელი. მხოლოდ ლელასა და ელიკოს ძნელად დასაჯერებელი ინფორმაციებს ამარა ვართ. ეს რომ ვთქვი ელიკოს ნერვიულობა დაეტყო, ხმასაც აუწია, ბევრი მასეც, ფიქრობს სოფელშიც და აქაც, რამდენი ურწმუნო და ხისთავიანია ამ ქვეყანაზეო.

რატომ მარტო ლელა და ელიკო, ჩვენც ვართ მოწმე ბატონი ოთარის ჩამობრძანების, — ალაპარაკდა ერთ-ერთი ახალგაზრდა, ამ ოჯახის ნათესავი ვართ, გაგვეცნო. როგორ, თქვენც უყურებთ ოთარს? შეხედვით არა, მაგრამ... იქით კვირას სამი კაცი ტუალეტში შეგვრეკა და მოგვიკეტა კარი. თხუთმეტი წუთი ვიყურყუტეთ, ჩვენი ფიქრით, ლელა გარეთ გაუშვა და შიგნიდან ჩაურაზა კარი. თავი რომ დავაღწიეთ ტყვეობას, ოთახში ოზონისა და სუნამოს სუნი ტრიალებდა. დავხედე საათს, ორი საათი გასულიყო. მაინც ვერ დავიჯერებ-თქო. გავიმეორე, მეორე ახალგაზრდამ ხელით ჭერისკენ მანიშნა, ასე რომ ლაპარაკობ არ გეშინიაო. ნეტა მოვიდოდეს და რასაც ვწერ ნაკუწებად აქცევდეს ყველაფერს, ჩვენც დავიჯერებთ და სხვასაც დავაჯერებთ-თქო. ახალგაზრდა ქალმა, აქამდე საათზე დემონსტრაციული დახედვით რომ გვანიშნებდა, გვეჩქარებაო, ახლა ხმაც ამოიღო; სული კბილით გვიჭირავს, თქვენი მასპინძლები ჩვენ უნდა წავიყვანოთო. ჩვენი მისვლა არავის რომ არ გახარებია, ყველაფრიდან ჩანდა, ასეთი საუბრის შემდეგ კი სრულიად ზედმეტნი გავხდით. გავუშვათ ესენი და მე გაგცემთ პასუხს ყველაფერზეო, იხვეწებოდა ოთარი. ბატონი ოთარი არ გეგონოთ, ლიფტში რომ გაეჩხირა ის ოთარი.

ამ ამბავის გამოქვეყნების მერე თქვენით ბევრი დაინტერესდა, რამოდენიმემ ისიც დამაბარა: თუ შეიძლება სამკურნალოდ ჩამოგაკითხოთო.

როგორ გეკადრებათ, აქ, ამ ერთოთახიან ბინაში სად უნდა მივიღო ხალხი, გვეუბნება ელიკო, თქვენც ხედავთ ჩვენს გაჭირვებას. ჩვენთვის ბინა აუცილებელია, არავითარი პირობები არ გაგვაჩნია.

სანამ ელიკო კლინიკას მოგვთხოვდა, მანამ დავემშვიდობეთ და წამოვედით. შუქი არ იყო მოსული და ძლივს ჩამოვაღწიეთ მერვე სართულიდან. დავადექით თბილისის გზას. თან ვფიქრობთ ცალ-ცალკე, თანამგზავრების რა მოგახსენოთ და მე ოთარიზე ვფიქრობდი, იმ ოთარიზე კი არა ლიფტში რომ გაიჭედა, ქვებს რომ სროულობს და ტორტი რომ უყვარს, იმაზე, ჩვენს დასახმარებლად რომაა ჩამოსული, ორიათასი წლისთვის საქართველო რომ უნდა გაათავისუფლოს. მერე რა, რომ სკაფანდრებით დადიან და ჩვენი ატმოსფერო მათთვის მომაკვდინებელია, სამაგიეროდ ჩვენი კვერცხით, კარაქით, რძით, არაყანით, ფქვილით დამზადებული ნამცხვრები არაფერს ვნებს, ოთარს შვილიც კი დალუპვია, სკაფანდრი გაჰფუჭებია და იმავ წუთს მოუგუდავს ჩვენს დაბინძურებულ ჰაერს. მეორე დღეს გლოვის ნიშნად შავი კომბინეზონებით მოსულან ჩხარტიშვილებთან.

სხვა გზა არა გვაქვს, ამ დედამიწიერ საქმეებზე თავდადებულ უცხო კაცს ორიათას წლამდე უნდა ვუცხოთ ნამცხვრები ტალონზე აღებული შაქრითა და კარაქით, იმ პირობით, თუ ქვების სროლას თავს დაანებებს და ჭიჭიკოს აღარ გააწვალებს, ალბათ ერთადერთ კაცს, იმ ოჯახიდან, რომელიც ჩვენსავით ფიქრობს. ამეებს, ვფიქრობდი მე და თანამგზავრები არ ვიცი რაზე ფიქრობდნენ, რომ დიდი სისწრაფით მიმავალი ჩვენი ავრიოლანტი (ავტომანქანა) უეცრად გაჩერდა. მძღოლს კი არ გაუჩერებია, თავისით გაჩერდა. ჩვენს წინ თვალისმომჭრელი ყვითელ-მწვანე სინათლეები ათამაშდა. მანქანის ბორბლემი ტრიალებდა, ადგილიდან არ ვიძროდით. ეს ყველაფერი თხუთმეტი წუთი გაგრძელდა ენა მუცელში ჩაგვივარდა. შეშინებულები ერთმანეთს ვუცქერდით. ჩვენ კი არა, მგონი თქვენც შეგეშინდათ...

ეს რომ მართლა მომხდარიყო, ძვირფასო მკითხველო, ჩვენ ხომ დავიჯერებდით, ცხადია თქვენც დაგაჯერებდით ყველაფერში.

**ბონერი ჭეიშვილი**

გაგრძელება აღარ იქნება

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „მოწამეთა" იანვარი, თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის შესახებ

**ჩვენი გაზეთის პირველ ნომერში დაიბეჭდა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის მამუკა ასლანიკაშვილის თვითმკვლელობის ოფიციალური ვერსია. შეგახსენებთ, რომ საქართველოს სსრ პროკურატურა მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით მ. ასლანიკაშვილს მიიჩნევდა მექრთამედ და ვარაუდობდა, რომ მან პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით მოიკლა თავი.**

**რედაქციამ მრავალი გამოხმაურება მიიღო. ადვოკატ ლევან მეგრელიშვილის წერილთან ერთად ვბეჭდავთ ჩვენს მიერ მოკვლეულ ზოგიერთ მასალასაც.**

## გაზეთ „მონამეთას" რედაქციას

წავიკითხე (და რამდენიმეჯერ) გაზეთში გამოქვეყნებული ე. ნაკაშვილისა და თ. მესხიშვილის ნარკვევი „მსხვერპლი" და სურვილი ამეძრა, ჩემი მოსაზრება გამომეთქვა ნარკვევში მოყვანილ ზოგიერთი გარემოების თაობაზე.

როგორც ადვოკატმა, მონაწილეობა მივიღე პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების ყოფილი გამგის გ. ამირანაშვილის ბრალდების საქმის განხილვაში საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში. ვიყავი გ. ამირანაშვილის დამცველი და რასაკვირველია, ძირფესვიანად და ღრმად შევისწავლე საქმე. ამირანაშვილთან ერთად იხილებოდა ქუთაისის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს ყოფილი უფროსის ი. კლდიაშვილის და სხვათა საქმეც. ახევე სხვადასხვა დროს მომიწია ზოგიერთი თანამდებობის ყოფილი პირების ბრალდების საქმეების განხილვაში მონაწილეობა და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ყველა ეს საქმე რაღაც უხილავი ძაფებით ერთმანეთს უკავშირდებოდა და ისინი შეიქმნა ერთი მიზნით: დაემტკიცებინათ, რომ მექრთამეები იყვნენ ს. ხაბეიშვილი და მ. ასლანიკაშვილი.

წერილში სავსებით სამართლიანადაა ნათქვამი, რომ დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპი, როცა ჯერ კიდევ გასამართლებამდე პრესის საშუალებით ქვეყანას ემცნო ხსენებულ პირთა „პირწავარდნილი მექრთამეობის" შესახებ, თანაც, საზოგადოებაში „ამინდს" ქმნიდა არა ვინმე რიგითი მუშაკი, არამედ საქართველოს იმდროინდელი პარტიული ლიდერი ჯ. პატიაშვილი. იგი არაერთხელ გამოსულა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და სხვადასხვა ღონისძიებებზე (აქტივის კრება. ბიუროს სხდომა), სადაც ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების სტადიაში, საზოგადოებრიობას აუწყებდა აღნიშნულ პირთა მექრთამეობის შესახებ. ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების ხელმძღვანელებს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ, რომ კანონით აკრძალული იყო მსგავსი პუბლიკაციები, ყოველ შემთხვევაში მანამდე,ვიდრე სასამართლო განაჩენით არ დადასტურდებოდა დანაშაულებრივი ქმედება და ეს განაჩენი არ შევიდოდა კანონიერ ძალაში. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ჟურნალ-გაზეთები პარტიის ცეკას ორგანოები იყო და მათი რედაქტორები „პატრონს" წინ ვერ აღუდგებოდნენ.

თავისთავად იბადება კითხვა: სად იყვნენ რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, რომლებიც ალბათ ცეკას შემადგენლობაში შედიოდნენ, რატომ არ ურჩიეს პატიაშვილს თავი შეეკავებინა (ყოველ შემთხვევაში ბრალდებულთა გასამართლებამდე) ეჭვმიტანილი თუ ბრალდებული პირების საჯაროდ დამნაშავეებად „მონათვლისაგან".

იბადება მეორე კითხვაც (რაც პირველის პასუხი უნდა იყოს): თვით ეს ხელმძღვანელები ხომ არ აწოდებდნენ ინფორმაციას თავიანთ „შეფს"- ცეკას პირველ მდივანს — მავანი და მავანი პირების მექრთამეობა უკვე დადასტურებულიაო?

მე მრავალი წლის წინათ მაქვს წაკითხული ნ. ბუხარინისა და მასთან ერთად ბრალდებულთა ჯგუფის სასამართლო პროცესის სტენოგრაფიული ანგარიში როცა პარტიის მე-20 ყრილობის შემდეგ და განსაკუთრებით ბოლო წლებში გამოქვეყნდა მასალები იმ საშინელი მეთოდების შესახებ რასაც იყენებდნენ სტალინი და მისი ერთგული დამქაშები. სტალინისათვის არასასურველ პირთა თავიდან მოსაშორებლად, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ 1985-87 წლები საქართველოში, 1937-38 წლების „გადამღერება" იყო. ასეთი ვარაუდის საფუძველი მომცა იმ ბრალდების საქმეების ღრმად შესწავლა — ანალიზმა, რომლებშიც მე ვმონაწილეობდი დამცველის როლში და რომლებიც ჩემი ღრმა რწმენით, ფარული ძაფებით დაკავშირებულია ხაბეიშვილის და ასლანიკაშვილის „საქმეებთან".

ახლა უშუალოდ „მსხვერპლში" გამოთქმულ ზოგიერთ გარემოებათა შესახებ.

სავსებით სწორია, რომ გ. ამირანაშვილი დააპატიმრეს და სკკპ-დან გარიცხეს როგორც მექრთამე. მალე მექრთამედ იქნა აღიარებული პრესის ფურცლებზეც, მაგრამ სასამართლოში საქმე შევიდა სულ სხვა ბრალდებით. რამდენიმე ბანკეტის ორგანიზებისათვის, რომლებიც ქუთაისში სხვადასხვა დროს ჩატარდა ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ვერიკო ანჯაფარიძის თუ სხვათა პატივსაცემად. სასამართლო პროცესზე აშკარად გამოიკვეთა რომ ამირანაშვილი საერთოდ არ იყო ამ ბანკეტების ორგანიზატორი (კიდევაც რომ ყოფილიყო, ამაში დანაშაულის შემადგენლობა მაინც არ მოიპოვებოდა) და შეიქმნა პირობები მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დასადგენად. მაგრამ სასამართლო გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმე საეჭვო ვითარებაში ჩამოერთვა განმხილველ სასამართლოს და რატომღაც ხელახლა „განსახილველად" გადაეცა სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

მთელის პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ახალი „პროცესი" იყო რაღაც ბუტაფორიის მსგავსი ინსცენირება და დამთავრდა „კომპრომისული შეთანხმებით" —ამირანაშვილი ბანკეტების მოწყობაში უნდა ეცნოთ დამნაშავედ (რასაკვირველია უსაფუძვლოდ) და ის უნდა დათანხმებულიყო სასჯელად მიეღო პატიმრობა იმ ვადით, რაც მან ფაქტიურად ციხეში გაატარა (10 თვე). გ. ამირანაშვილი გათავისუფლებული იქნა სასამართლოს დარბაზიდან განაჩენის გამოცხადებისთანავე.

წერილში ნათქვამია, რომ მას მიცემული აქვს ჩვენება მ. ასლანიკაშვილისათვის 1985 წელს ორჯერადად ორ-ორი ათასი მანეთის სესხების, ასევე კლდიაშვილის მიერ საზღაურის გადაუხდელად რაღაც ტანსაცმლის გადაცემის შესახებ. მე კარგად ვიცნობ ორთავე ბრალდებას და ამ საქმეში რატომღაც (?) ასეთი ჩვენებები არ არის, თუმცა გაცემული ყოფილა მათივე საქმის წინასწარი გამოძიების პერიოდში. იურიდიული თვალსაზრისით ამ ჩვენებებს იმის სამტკიცებლად, რომ აღნიშნულ ფაქტებს ნამდვილად ექნებოდა ადგილი, არავითარი ღირებულება არ გააჩნიათ. ამის საფუძველს მაძლევს ის გარემოება, რომ მ. ასლანიკაშვილი „თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენაში" მხილებულია გარდაცვალების შემდეგ, როცა მისი დაკითხვა და საჭირო შემთხვევაში, ამირანაშვილთან და კლდიაშვილთან დაპირისპირება გამორიცხული იყო. ამას გარდა, პირის ბრალეულობას მხოლოდ ის მტკიცებულობები შეიძლება დაედოს საფუძვლად, რომლებიც სასამართლოს სხდომაზე იყო განხილული. ეს საბჭოთა სამართალწარმოების კონსტიტუციური პრინციპია და საგამომძიებლო ორგანოს უფლება არ ჰქონდა დადასტურებულად ჩაეთვალა ასლანიკაშვილს ქრთამის სახით ტანსაცმელი ჰქონდა აღებული. რაც შეეხება ამირანაშვილის მიერ ორჯერ ორ-ორი ათასი მანეთის „გასესხებას", საგამომძიებლო ორგანოს საერთოდ არ ჰქონდა უფლება მოეხსენებინა იგი თავის დადგენილებაში, მითუმეტეს მტკიცებულების ღირებულება მიენიჭებინა მისთვის და ხსენებული ფაქტი დადასტურებულად ჩაეთვალა.

რატომ? კანონის თანახმად ორმოცდაათ მანეთზე მეტი თანხის გასესხებაზე უნდა არსებობდეს წერილობითი საბუთი (მაგალითად, ხელწერილი), წინააღმდეგ შემთხვევაში გამსესხებელი უფლებას კარგავს სასამართლოს წესით ამტკიცოს გასესხების ფაქტი, თუნდაც მოწმეების საშუალებით, თუ ამ ფაქტს მსესხებელი სადაოდ ხდის.

მაშასადამე შეიძლება გაბედულად ითქვას რომ მ. ასლანიკაშვილს კანონიერი საფუძვლის გარეშე საიდუმლოებით მოცული თვითმკვლელობის ნამდვილი მიზეზების გამორკვევის გარეშე მოსცხეს ჩირქი.

მიმაჩნია, რომ საქმე თვითმკვლელობის ფაქტზე ნაადრევად არის შეწყვეტილი. ამოუხსნელია ვინ და რამ მიიყვანა იგი საბედისწერო გასროლამდე. ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობა გამორიცხული არ არის თუ განახლდება ობიექტური, მიუკერძოებელი, ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოძიება, რაც შესაძლებელს გახდის საზოგადოებრიობას ეცნობოს —რატომ მოიკლა თავი ქალაქის ხელმძღვანელმა.

პატივისცემით:

საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი.

**ლევან მეგრელიშვილი**



---

**საქართველოს კპ ცკ-ს ორგპარტიული მუშაობის განყოფილების ყოფილი ინსპექტორის ზ. მაისურაძის ადვოკატის საჩივრიდან:**

1987 წლის 9 სექტემბერს პროგრამა „მოამბემ" გადასცა „ცნობა ყველასათვის", რომ სპეციალური გადაცემა მოეწყობოდა ორი სასამართლო პროცესის შესახებ, რომელიც საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოში შედგა.

ორიდან ერთერთი პროცესი იყო ს. ხაბეიშვილის „მოლარედ" მონათლულ ზურაბ მაისურაძის საქმე.

სხვა სიყალბეებთან ერთად გადაცემაში ითქვა, რომ ზ. მაისურაძემ თვითმკვლელობამდე მიიყვანა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ა. ასლანიკაშვილი.

განვმარტავ, რომ ასლანიკაშვილმა 1986 წლის 10 ივნისს, ე. ი. მაისურაძის დაპატიმრებიდან ერთი წლის შემდეგ მოიკლა თავი, უფრო მეტიც, არც წინასწარგამოძიება, არც სასამართლო მ. ა. ასლანიკაშვილის საკითხს არ შეხებია.

ამგვარად, 1987 წლის 15 ივლისს სასამართლომ სხვა განაჩენი გამოიტანა და მისი გამოქვეყნება მოითხოვა. 9 სექტემბერს კი განაჩენის სხვა ვარიანტი გადაიცა, თანაც გადაიცა ისეთი ცილისმწამებლური ვერსია, რომელიც წინასწარგამოძიებასა და სასამართლო მასალებში რეგისტრირებული არ არის.

---

**პარტიის მახარაძის რაიკომის ყოფილი პირველი მდივნის, ამჟამად უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის საგამომძიებლო იზოლატორის პატიმრის ი. თენეიშვილის განცხადებიდან, რომელიც მან 27.04.87 გაუგზავნა ცკ-ს მაშინდელ პირველ მდივანს ჯ. პატიაშვილს:**

„რად გინდათ ასე ხელოვნურად შექმნილი ტრაგედია, რად გინდათ ამდენი ოჯახის ცოდვაში ფეხის ჩადგმა, რათ გინდათ საწყალი ბაბილოძის და ჩიტიას გაუბედურება, რა უნდა უთხრათ თქვენ ასლანიკაშვილის, პაპუნიძის, დონაძის და სხვების საფლავებს და საბოლოოდ თქვენ პირადად როგორ უნდა იცხოვროთ ამ ქვეყანაზე. რად გინდათ ამდენი პარაზიტი გამომძიებლის და მოსამართლის ვალი. იმათმა ხომ ყველამ იცის რაშია საქმე".

---

## მაშინ დაიქცა საქართველო!..

ამ რამდენიმე თვის წინ „მამულში" საკმაოდ ვრცელი განმარტება — კომენტარით დაიბეჭდა ოცდაათიან წლებში დაწერილი და კოლაუ ნადირაძისადმი მიძღვნილი ცნობილი პოეტისა და მთარგმნელის მიქელ პატარიძის ერთი მანამდე გამოუქვეყნებელი ლექსი, — დასტური იმისა, რომ ეროვნული იდეები და თავისუფლების სიყვარული ქართველ კაცში არასოდეს იყო ჩამქრალი. რეპრესიების მძიმე და საშინელ წლებშიც მოიძებნებოდნენ ადამიანები, ეროვნული სატიკვრის ნაღვერდალს სულს რომ უბერავდნენ და გულიდან გულში გადატანას ლამობდნენ...

აღნიშნულმა პუბლიკაციამ მეხსიერებიდან მიქელ პატარიძესთან დაკავშირებული ოცდახუთმეტიოდე წლის წინანდელი ერთი ეპიზოდი ამომიტივტივა... 1954 წელია, მერვე კლასში ვსწავლობ, ლექსებს ვწერ...

საქართველოს გასაბჭოებაზე მიძღვნილი ლექსი ბაღდათის რაიონული გაზეთის მაშინდელმა რედაქტორმა მიქელ პატარიძის რეკომენდაციის გარეშე არ დამიბეჭდა და იძულებული გავხდი აკანკალებული მუხლითა და ორად გაკეცილი ფარატინა ფურცლით კარზე მივდგომოდი ბატონ მიქელს, რომელიც იმ ხანად მაიაკოვსკის სახლმუზეუმის დირექტორად მუშაობდა და ბაღდათში ცხოვრობდა.

ჩვეული ღიმილი შემომაგება, დამიყვავა და მაგიდასთან მიმიხმო, დაჯდომას როგორ გავბედავდი, ორი-სამი ნაბიჯი როგორც იყო წინ მივიწიე და შუაზე გაკეცილი ფურცელი უხერხულად გავუწოდე პოეტს. ჩამომართვა, მაგიდაზე დაიდო და გასამართავად ქვემოდან ზემოთ ააყოლა ხელისგული, როცა საჩვენებელი თითი სათაურს მიაბჯინა და ერთხანს გარინდებული დარჩა, გულმა ბაგაბუგი დამიწყო, მერე რაღაცნაირი, ირონიაგარეული თუ დამთმობი ღიმილი გაუკრთა პირსახეზე, ცალი თვალით შემდა ამომხედა და დაუყვავებით შემომაპარა: — ოცდახუთი თებერვალი რა არის, ყმაწვილო?!

ამოვისუნთქე, მაგის პასუხს მაინც რაღა უნდა მეთქი გავიფიქრე, და ფრიადოსანი მოსწავლის სიბეჯითით ჩავარაკრაკე: — საქართველოს გასაბჭოების, ჩვენი ქვეყნის გაცოცხლების თარიღია, ბატონო!

იმდენად დარწმუნებული ვიყავი ჩემსავე სისწორეში, და იმაში, რომ ამ პასუხით ბატონ მიქელს გავახარებდი, თავდაპირველი რეაქციისათვის ყურადღება აღარ მიმიქცევია...

მცირეოდენი დუმილის შემდეგ ბატონი მიქელი იქვე, მაგიდასთან ახლო მიყუდებულ მოკაუჭებულთავიან ხარატულა ხელჯოხს მიწვდა, თითქოდა წაიბიჯგაო, სანახევროდ წამოდგა, ხელჯოხი მხრამდე აიტანა და როცა ზემოდან ქვემოთ მოწყვეტით დაუშვა, ყვირილიც დააყოლა: — მაშინ დაიქცა საქართველო!..

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაზე მეტი იყო ეს წამი ჩემთვის, ყველაფრის უეცარმა აყირავებამ ფეხზევე გაყინული დამტოვა.

თავად ბატონი მიქელი ამის შემდეგ სკამზე დაღლილივით დაეშვა, იდაყვები მაგიდას დააბჯინა და პირისახე ხელისგულებს ჩამოაყრდნო. კარგა ხანს იყო ასე, მდუმარი, მერე სათვალეები ჩამოიხსნა და შებოლილი მინები ქადრაკულა ცხვირსახოცით, ისე რომ ჩემკენ არც გამოუხედავს, დიდხანს და ხაზგასმული გულმოდგინებით ასუფთავა.

მაშინ არა მაგრამ, ახლა ხომ დღესავით ნათელია ჩემთვის ხელებში თავჩარგული პოეტის ხანგრძლივი დუმილის მიზეზი, იმ წუთიერ აფეთქებას რომ მოჰყვა...

**ზაალ ებანოიძე**

# ნუ ავჩქარდებით!..

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ გ. ბენიძის წერილზე „ვის სჭირდება მწერალთა კავშირი?“ გამოგვეხმაურა პედაგოგი მ. კიკაბიძე, რომელიც დაჟინებით მოითხოვს უცვლელად დავბეჭდოთ იგი. ვასრულებთ მის თხოვნას და აქვე ვსტამბავთ გ. ბენიძის პასუხსაც.

გულდასმით წავიკითხე სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის სადროშოს ყოველთვიური გაზეთის „მოწამეთა“ იანვარი, თებერვალის ნომერი.

პირადად მე რუსთაველის საზოგადოების ერთ-ერთი წევრი ვარ და ძალიან გამიხარდა, რომ ასეთი გაზეთი ჩვენს ქალაქში გამოდის. გაზეთი თავისი მრავალფეროვნებით საინტერესო შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მასში დაბეჭდილ ბევრ ვითომ სენსაციურ წერილს სიჩქარის დაღი აზის. ერთ-ერთ ასეთ არაკომპეტენტურ წერილად მიმაჩნია გ. ბენიძის „ვის სჭირდება მწერალთა კავშირი?“, რომლის ქვემოთაც რედაქციას „პირის გამოსაწმენდად“ მინაწერი გაუკეთებია, რომ ავტორის ზოგიერთ შეხედულებებს არ იზიარებს.

დღეს, პლურალიზმისა და მართალი სიტყვის სამზეოზე გამოტანის დროს ყველაზე მეტი სიფხიზლე გვმართებს, რათა საკუთარი თავის გამოჩენის მიზნით ვინმეს ან რაიმეს დაუმსახურებელი შეურაცხყოფა არ მივაყენოთ და ჩვენი წინდაუხედაობით უარი ვთქვათ ზოგიერთ დღემდე არსებულ ორგანიზაციაზე, რომელსაც საზოგადოება, როგორც წმინდა სალოცავს შესცქერის, სჯერა და სწამს მისი.

გაზეთის პირველი ნომრის ზოგიერთი სიუჟეტი სახელდების ნათელი დასტურია, თუმცა მისთომის მასალის შერჩევა არავითარ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს, რამეთუ ნებისმიერი პატიოსანი კაცის ცხოვრება იმპერიის მყარი კარკასის ქვეშ მოქცეული და ბიუროკრატიზმით, კორუფციონიზმით, პროტექციონიზმით თუ სხვა ანომალიებით გადათელილი მილიონობით „დავითისა და კონსტანტინეს“ მკვიდრი შთამომავლობაა. ასე, რომ ნურც თქვენ, ბატონო გია და ნურც ჩვენ ნუ მივცემთ თავს რადიკალიზმის უფლებას. ახლა, ამ წუთებშიც, დედის საშოდან გამომავალი ჩვილიც კი იმ „ნოყიერი“ ნიადაგის პირმშოა, რომლის გასაპოხიერებლად არცერთი ჩვენგანი არ ვიშურებდით ყველაზე ძლიერ „ხიმიკატსაც“ კი. და რა გასაკვირია, ჩვენი გონების სუფთა დაფაზეც იწერებოდა ის ყალბი იდეოლოგია და ლიტონი ფრაზეოლოგია, რომელმაც მე-20 საუკუნის დასასრულს სოციალიზმის სამყაროს წარღვნა მოუვლინა.

უფროსებმა იკითხონ თუ არა, ჩვენს თაობას ბატონო გია ის პრიორიტეტი მაინც გააჩნია, ღრმად გააანალიზოს სოციალიზმის ჩასახვის სტანდარტები და ნათელვიხილოთ მისი გარდაცვალების ისტორიული აუცილებლობა. ასე რომ, კიდევ ვიმეორებ ნუ ვიქნებით რადიკალები და ნუ ვეცდებით კარს მომდგარი რევოლუციის ალვირის ხელში მარტოდ მარტო აღებას: ჟამთა სვლის ისტორიული პერიპეტიები ისე მკაცრი და დაუზოგავია, გინდა არ გინდა მის დინებაში ჩაგითრევს და ვინც „ჭკუით“ არ იქნება ჩაძირავს კიდეც. ზემოდან დაშვებული დემოკრატია და საჯაროობაც ისტორიული კანონზომიერების ბრწყინვალე დასტურია და ვაილიდერობის მიზნით ნუ ვეცდებით მოვლენებს წინ გავუსწროთ, თორემ ისე დაგვემართება მელია, რომ მამლის კუდმა გასცა. მე, თქვენს ზოგიერთ ნაწარმოებს ვიცნობ და სიმართლე უნდა ითქვას, მომწონს ისინი. მათში დავინახე თანამედროვე ქართველი მწერლის ინდივიდუალური მხატვრული ქვრეტა, ამიტომაც გამკვირვებია თქვენი მწარე განაჩენი „მწერალი საერთოდ ასეთი არის“ (რა თქმა უნდა ცუდი გაგებით).

როგორ, ბატონო გია თქვენი პიროვნებით იწყება ან მთავრდება ქართველი მწერლობა, ან ათეულობით განისაზღვრება?

რატომ აძლევთ თავს იმის უფლებას ასე ხელაღებით საქვეყნოდ ლანძღოთ (თანაც როგორი სიტყვებით „დატოვეთ ეს არამზადების მიერ შექმნილი ორგანიზაცია. ეს საზიზღარი სულიერი ბორდელი) ის ორგანიზაცია, თუ კავშირი (ამ „სიტყვას თქვენ ორგანულად ვერ იტანთ, რატომ არ ვიცი), რომელსაც თქვენისთანა და შეიძლება ბევრად უფრო ნიჭიერი ახალგაზრდის დაფრთიანებაში, გამოჩენაში, მისი ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებაში დიდი როლი მიუძღვის და ერთიც გამკვირვებია, დღეს მაინც, როცა ახდილია „რკინის ფარდა“ და თავისუფლად ვხედავთ ცივილიზებული სამყაროს ცხოვრებას, რად გაკვირვებთ და გაღიზიანებთ თუ მწერალთა კავშირის რომელიმე თანამშრომელს „დუბლიონკა“ ან საკუთარი მანქანა შეუძენია? ამ ჩვეულებრივი მოვლენის პროვინციული ხედვა, ხომ არ მიგვანიშნებს ჩვენს პრიმიტიულ დამოკიდებულებაზე მე-20 საუკუნის ცივილიზებული ადამიანის მიმართ.

პლურალიზმი ალვირახსნილობაში არ უნდა გადავწყვიტოთ? სად გაქრა ის მოწიწება და პატივისცემა (მწარე სინამდვილეა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა) რაც ჩვენს თაობას მკვეთრად გამოყოფს წინა თაობისაგან?

თქვე დალოცვილო სიტყვა „კავშირი“ განსაზღვრავს კავშირის შინაარსს? თუ თქვენი უსაფუძვლო „შიშით“ კავშირის ღირსეულ წევრებს ულირსოებიც აედევნებიან და თქვენგან მოწოდებულ ასოციაციაში გაერთიანდებიან, ამით კავშირი გაიწმინდება თუ ასოციაცია დაბინძურდება, რაღა აზრი ჰქონია.

„მწერლური მაფია“ თბილისში იარსებებს თუ არხანგელსკში, როგორ ეს ცვლის სისტემის მორალურ კლიმატს?

ასე რომ, ჩემი სუბიექტური დასკვნით ეს არის ფორმის შეცვლის ძალიან პრიმიტიული მეთოდი, რომელსაც შინაარსის ცვლილებასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

ნუ ვივიჩქარებთ ბატონო გია, ისტორიას ესმის თქვენი და ჩვენი ტკივილი და მილიონი დისიდენტი რომ აღუდგეს წინ, მის ბორბალს უკუღმა ვერ დაატრიალებს. ეს თქვენი გამოძახილიც მიმდინარე ისტორიული ძვრების ერთი მწირი გამოძახილია.

სულ მალე მოვა დრო, მოვლენები მასშტაბებს შეიძენს და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

**მარინა კიკაბიძე**
პედაგოგი

---

# ვინ უფრო არაკომპეტენტურია?

ჩემი ოპონენტი ბრძანებს, რომ გაზეთი „მოწამეთა“ გულდასმით წაიკითხა, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ მართლა ასე იყოს, რადგან მას სწორად ვერ გაუგია, რას მოვითხოვდი მე ჩემს წერილში. უფრო მეტიც, მას საკუთარი წერილიც კი არ გადაუკითხავს მანქანაზე გადაბეჭდვის შემდეგ, თორემ თუ სტილისტურად ვერა (ეს იქნებ მის ძალებს აღემატება), კორექტურულად მაინც ჩაასწორებდა თავის ქმნილებას. მე მიკიჟინებს, ნუ ავჩქარდებითო და თვითონ კი მართლა მეტისმეტად უჩქარია; ჩემს წერილს უწოდებს არაკომპეტენტურს და არ ახსენდება ამგვარი გამონათქვამი რომ არსებობს ჩვენში: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს რომ იწველიდესო“.

მე ჩემი წერილი მანკიერი სისტემის გასაკრიტიკებლად დავწერე და კონკრეტულ პიროვნებებს არ შევხებივარ, არც რომელიმე ორგანიზაციის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა დამიზუსტებია, თქვენ კი, ქალბატონო მარინა, არ ვიცი ვისი შეურაცხყოფა დაინახეთ აქ, კონკრეტულად ვისზე ან რაზე შეგტკივათ გული. ან ნეტავ იმით რა გინდათ მითხრათ, რომ წერთ, „მწერლური მაფია“ თბილისში იქნება თუ არხანგელსკში, ეს სისტემის მორალური კლიმატისათვის სულერთიაო? მე საკითხი ასე არ დამისვამს, მაგრამ რაკი მეკითხებით, მაგაზედაც გეტყვით ჩემსას: როგორ, მართლა სულერთია თქვენთვის, ქართველისათვის, თბილისის და არხანგელსკის პრობლემები? მართლა ასე „შიროკა სტრანა მაია რადნაია?“

ტერმინებს — „ბიუროკრატიზმი“, „კორუფციონიზმი“, „პროტექციონიზმი“, დიდი ხალისით მიმართავთ, მაგრამ ეტყობა არ უწყით, რომ იმ „სალოცავივით წმინდა ორგანიზაციას“, როგორადაც თქვენ მწერალთა კავშირი მიგაჩნიათ, ყველა ზემოჩამოთვლილი მანკიერება სჭირდა მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

თქვენ წერთ: „ჩვენი გონების სუფთა დაფაზეც იწერებოდა ის ყალბი იდეოლოგია, რომელმაც მე-20 საუკუნის დასასრულს სოციალიზმის სამყაროს წარღვნა მოუვლინა“ გითანხმებით, თქვენი წერილი სწორედ თვალსაჩინო ნიმუშია საბჭოური იდეოლოგიით ნაკვები აზროვნებისა. თვითკრიტიკა მაშინ არის წინსვლის საწინდარი, როცა ადამიანს თავად შეუძლია საკუთარი ნაკლოვანებების დანახვა. თქვენ კი გაზეთებში ამოკითხული ფრაზებით თავმომწონეობთ და ვერ ამჩნევთ, რომ მაგგვარი „ახალი აზროვნება“ ზედაპირული მოდაა მხოლოდ. თქვენ და თქვენისთანები „ზემოდან დაშვებული დემოკრატიის და საჯაროობის“ იმედზე ხართ და ღმერთმა ნუ მოგიშალოთ ეს იმედი, მაგრამ ვფიქრობ სასურველია, ზედმეტის უფლებაც არ მისცეთ თავს და სხვები არ დატუქსოთ „რადიკალიზმისათვის.

ისტორიასო, ბრძანებთ თქვენ, „მილიონი დისიდენტი რომ აღუდგეს წინ ,მის ბორბალს უკუღმა ვერ დაატრიალებსო“. დისიდენტებს ჩვენში იმ პატრიოტებს უწოდებდნენ, ვინც საბჭოური სისტემის წინააღმდეგ აღდგა (სახელდახელოდ ჩამოვთვლი რამდენიმეს: ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ა. ბაქრაძე); თუ თქვენც ესენი მიგაჩნიათ დისიდენტებად, გამოდის, რომ თქვენის აზრით, ისინი ცდილობდნენ ისტორიის ბორბლის უკუღმა დატრიალებას! მაშ, წაღმა ვინღა ატრიალებს იმ ბორბალს, კომუნისტები?

იქნებ ასე არ გინდოდათ და უნებურად გამოგივიდათ, მაგრამ სტილისტურად ისე აბნეული და არაზუსტია თქვენი ნაჯღაბნი, კაცს ძალიან გაუჭირდება გაგება, რისი თქმა გნებავთ. მაგალითად, რას ნიშნავს თქვენი ფრაზა „ვაილიდერობის მიზნით ნუ ვეცდებით მოვლენებს წინ გავუსწროთ“... ისე გამოდის, თითქოს ჩემი მიზანი იყოს „ვაილიდერობა“! ადამიანი, ვინც ასეთ ლაფსუსებს უშვებს საკუთარი ნააზრევის გადმოცემისას, სხვის არაკომპეტენტურობაზე ხმას არ უნდა იღებდეს.

მე რომ ვწერდი, დღენიადაგ ტელევიზორის ეკრანზე მოქაქანე ზოგიერთმა მწერალმა მწერლობის ავტორიტეტი დასცა-მეთქი, ვერც ეს გაგიგიათ სწორად და გიფიქრიათ, რომ მე ვთვლი ასეთად ყველა მწერალს! მე კი არა, მაყურებელი, ხალხი თვლის ასე, რომელსაც თავი მოაბეზრეს ულირსებო, უთავმოყვარო მწერლებმა! ხალხი ვისაც ხშირად ხედავს, იმის მიხედვით განსჯის დანარჩენებსაც. ნუთუ ამის გაგება ასე ძნელი იყო? ნიშნისმოგებით მეკითხებით, თქვენით იწყება ან მთავრდება ქართველი (თუ ქართული? გ. ბ.) მწერლობა, ან ათეულობით განისაზღვრებაო? მე არც დამიწერია და არც მიგულისხმია რაიმე ჩემი პიროვნების შესახებ ამ კონტექსტში, ხოლო ნიჭიერი მწერლების რიცხვი სწორედაც რომ ძლივს აღწევს რამდენიმე ათეულს... აბა თქვენ მართლა გეგონათ, რომ საქართველოში ხუთასი მწერალია დღეს? რუსთაველის დროს ახლანდელზე სამ-ოთხჯერ მეტი ვიყავით და იმ ეპოქიდან თითზე ჩამოსათვლელი მწერლებიღა გვასოვს, დღეს კი, ამ ჯოჯოხეთურ საუკუნეში, რა ისეთი მუზა გვეტაკა?

ჩემს მიერ წერილში ნახსენებ „დუბლიონკებთან და მანქანებთან“ დაკავშირებით რომ „მე-20 საუკუნის ცივილიზებული ადამიანი“ გახსენდებათ, ამის შემდეგ სხვის „პროვინციულობაზე“ და „პრიმიტიულობაზე“ კრინტი რომ არ დაგეძრათ, საკუთარ თავს კარგ სამსახურს გაუწევდით. ხომ გაგიგიათ, „თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“.

თქვენ, გარდა იმისა, რომ წერის კულტურის მხრივ მოიკოჭლებთ, „ცივილიზებული ადამიანის“ ფენომენზეც ერთობ ზერელე წარმოდგენა გქონიათ, რაკი ჭინჭები და რკინები (დუბლიონკა და მანქანა) მიგიჩნევიათ მის დამახასიათებელ ატრიბუტად.

საერთოდ კი, ასეთი იაღლიში არ მოგივიდოდათ და ასე მიამიტურად არ გაიყიდებოდით, თქვენთვის ნაკლებად ცნობილ საკითხზე წერისას წინდახედულად რომ აგეყვანათ კონსულტანტი. მაშინ იმასაც იოლად მიხვდებოდით, რისთვის ვახსენე ის „დუბლიონკები და მანქანები“. იქნებ თქვენს გარდა ბევრმა სხვამაც ვერ გაარკვიოს ეს დამოუკიდებლად, ამიტომ ვეცდები აგიხსნათ და ერთი კონკრეტული მაგალითი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანო: განსვენებული ნოდარ დუმბაძე, მოგეხსენებათ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ მუშაობდა. ერთხელ მასთან მისულა რედაქციის წარმომადგენელი და უთხოვია, ჟურნალისათვის ახალი მოთხრობა მოგვეცითო. დუმბაძეს მწარედ იხუმრა თურმე: სად მცალია, ძამა, მოთხრობების საწერად, მე აქ ბინებს, მანქანებს და „დუბლიონკებს“ ვანაწილებო...

ახლა თუ ხვდებით რამეს? მწერალი თავისი პროფესიისათვის ასე უცხო მოვალეობებს უნდა ასრულებდეს? მერედა, თქვენ იცით, იმ ბინების, „დუბლიონკების“ და მანქანების განაწილების გარდა კიდევ რამდენი გულისშემაღონებელი მოვალეობა აკისრია თანამდებობის პირს მწერალთა კავშირში? იცით, რომ მანკიერი სისტემა არა მხოლოდ შემოქმედებითი, არამედ მორალური ძალებისგანაც ფიტავს მწერალთა კავშირის ფუნქციონერს? არ იცით, მეგობარო, და იმიტომ შემეკამათებით ასე გამომწვევად და თავდაჯერებულად.

თქვენ ვერც ის გამიგეთ, თავისუფალ მწერალთა ასოციაცია რით იქნება დღევანდელი მწერალთა კავშირისაგან განსხვავებული. ვეცდები კიდევ დავაზუსტო: თავისუფალ ასოციაციაში არ იქნება ხელფასიანი თანამდებობები და აქედან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური პრივილეგიები. ასოციაციაში პრეზიდენტობა თუ სხვა ხელმძღვანელი პოსტი მხოლოდ საპატიო მოვალეობა იქნება მწერლისათვის და არა პირადი ძალაუფლების გამაძლიერებელი ბერკეტი. აქედან გამომდინარე, მწერლები ეგოისტურად დაინტერესებულნი აღარ იქნებიან თანამდებობებით და ერთმანეთს კონკურენციას არ გაუწევენ, ერთმანეთში ბრძოლას არ გამართავენ. ეს გარემოება კი ატმოსფეროს გააჯანსაღებს, უფრო ადამიანურ დამოკიდებულებებს გაალღვებს კოლეგებს შორის. რაც შეეხება სიტყვა „კავშირს“, თავისთავად სიტყვამ რა დააშავა, მაგრამ ამ ეტაპზე მაინც სასურველია მას სხვა სიტყვა შევუნაცვლოთ ზოგ შემთხვევაში: ამგვარი ფორმალური გამიჯვნით ხელს შევუწყობთ ძველი სისტემისაგან ფსიქოლოგიურ გამიჯვნასაც. ეს თვით ამ ჯვარცმული სიტყვებისათვისაც (როგორიცაა „კავშირი“, „საბჭო“, „მდივანი“ და ა. შ.) უკეთესი იქნება, დროთა განმავლობაში მათ დღევანდელი უსიამო ნიუანსები ჩამოსცილდებათ და თავიანთ თავდაპირველ ჟღერადობას აღიდგენენ.

ასე რომ, ქალბატონო მარინა, თუკი მართლა გული შეგტკივათ ქართულ მწერლობაზე, მაშინ უნდა ეცადოთ, უფრო ღრმად ჩაიხედოთ საკითხის არსში და ყალბ კერპებზე სწორი აზრი შეიქმნათ; სამოცდაათი წელი ალოცებდნენ ქართველ ხალხს მათზე და კმარა.

**გია ბენიძე**

## კომენტარის გარეშე



# ხორცი, რძე, ფიფიბურა...

ᲒᲐᲡᲣᲚ წელს ,სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყრილობაზე ქართველმა ხალხმა პირველად შეიტყო, რომ გომელის ოლქიდან გორის სამაცივრო კომბინატში „საქაგრომრეწვის“ მიერ შემოტანილი იქნა 661 ტ. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგად დაბინძურებული ხორცი. ოფიციოზი ყოველნაირად ცდილობდა ,სხვა ფაქტები არ გამჟღავნებულიყო, მაგრამ გორს შემდეგში ბათუმი, გაგრა სოხუმი მიემატა... გაჩნდა არცთუ საფუძველს მოკლებული ეჭვები, დაიწყო მითქმა-მოთქმა, დაირხა ათასნაირი ჭორი...

1989 წლის 15 დეკემბერს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საკრებულომ შექმნა საგანგებო საზოგადოებრივი კომისია საქ. სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატ, პროფესორ ნოდარ ვალიშვილის თავმჯდომარეობით. ვაქვეყნებთ კომისიის ანგარიშსა და დასკვნებს.

1. კომისიამ, უპირველესად საჭიროდ ცნო, ქუთაისის მოსახლეობისათვის კვების ძირითადი პროდუქტების მომწოდებელი სხვადასხვა რეგიონების გეოგრაფიის განსაზღვრა და აქედან გამომდინარე პროდუქტების რადიაციული ნივთიერებებით დაბინძურების ალბათობის საკითხის გარკვევა. აღმოჩნდა, რომ ქუთაისის ხორცკომბინატში ხორცის შემოზიდვა ხდება ,როგორც საქართველოს, ისე სსრკ-ს სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან, პროდუქციის ძირი-

...ნება, როგორც მოწოდების შუალედური რგოლები.

კომისია განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ჩვენი რეგიონისათვის ხორცის მომწოდებლებს შორის არის ქალაქი ჩერნიგოვი, რომელიც ჩერნობილიდან 100 კმ-იან ზონაში მდებარეობს. საავტომობილო გზით ამ ქალაქებს შორის სულ 78 კმ-ია, ჩერნიგოვიდან ქუთაისის ხორცკომბინატმა 1986 წელს მიიღო 100 ტ. 1987 წ. — 172 ტ. ამავე წელს ამ ქალაქიდან „საქსურსათვაჭრობის“ ბაზაში შემოზიდეს 1190 ტ. ხორცი. სულ ორივე დაწესებულებაში 1986-87 წლების განმავლობაში ჩერნიგოვიდან 1462 ტ. ხორცია შემოტანილი.

„საქსურსათვაჭრობის“ ბაზაში შემოაქვთ აგრეთვე კარაქი და რძე. ამ პროდუქტების მომწოდებელთა გეოგრაფიაც ზემოთდასახელებულ ქალაქებსა და რაიონებს ემთხვევა.

რადიაქტიურად დაბინძურებული რაიონებიდან რძისა და კარაქის მოწოდებათა ცვლილებების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ქუთაისში ამ პროდუქტების შემოზიდვა 1986 წლიდან 1989 წლამდე გაიზარდა 2208,8 ტონიდან, 3226,9 ტონამდე, ანუ 1,45-ჯერ. ქვეყანაში კვების პროდუქტებზე უმწვავესი დეფიციტის არსებობის პირობებში მათი რაოდენობის ასეთი მკვეთრი ზრდა არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს. ლოგიკურია კითხვა, ვის ხარჯზე და რისთვის იქმნება „საშეღავათო“ პირობები საქართველოსა და კონკრეტულ შემთხვე-

...

□ □ □

## ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ვხედავთ, მდგომარეობა მეტად სერიოზულია. საჭიროა სასწრაფო, დაუყოვნებლივი ფიქრი და მოქმედება. ზემოთქმულიდან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება.

1. კომისიას არსებული ვითარებიდან გამომდინარე მიაჩნია, უნდა გაიხსნას სანეპიდსადგურისა და კვების პროდუქტების ნებისმიერ ბაზაში რადიაციული კონტროლის ლაბორატორია. სასურველია, აგრეთვე რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებასთან შეიქმნას საზოგადოებრივი ლაბორატორია, რომელიც თვითდაფინანსების პრინციპით იმუშავებს.

2. იმის გამო, რომ ქუთაისს არ გააჩნია რადიაციულობის დოზის დამდგენი არავითარი ხელსაწყო ,უნდა შეწყდეს ჩერნობილის მახლობელი რაიონებიდან ნებისმიერი პროდუქტის შემოტანა. ამიერიდან, როგორც ჩვენს ქალაქში, ასევე რესპუბლიკაში კვების პროდუქტები შემოვიდეს საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანიზაციის სერტიფიკატის თანხლებით, რაც მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ისინი არ შეიცავენ რადიაციულ ნივთიერებებს.

3. ეთხოვოს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას, რესპუბლიკის მთავრობის წინაშე დასვას საქართველოს საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანოების წევრობის საკითხი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს, რომ რესპუბლიკაში შემოზიდული პროდუქციის რადიაციული დაბინძურების ნორმები საერთაშორისო რადიაციული დაცვის კომისიის ნორმათა შესატყვისი იყოს.

4. ქალაქის ონკოლოგიურ საავადმყოფოსთან, ან სხვა სამედიცინო დაწესებულებასთან, უნდა გაიხსნას სამედიცინო გენეტიკური ლაბორატორია, რომელიც გამოიკვლევს რადიაციის გავლენას ადამიანთა ჯანმრთელობაზე და სათანადო ღონისძიებებს გაატარებს მათ აღმოსაფხვრელად.

5. აუცილებელია ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში სისტემატიური ლექციების ჩატარება რადიაციისა და მისი მავნებლობის შესახებ. უნდა გადაწყდეს აგრეთვე ინდივიდუალური მოხმარების დოზიმეტრიული ხელსაწყოების ტექნოლოგიის შეძენა და მასიური წარმოების დაწყება.

## ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ დაშვებული შეცდომები აწმყოსა და მომავლისათვის სწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ეს ანბანური ჭეშმარიტება იმიტომ გავიხსენეთ, რომ პანიკის, თავშიცემისა და ვიშვიშის დრო არ არის, საჭიროა კონკრეტული, სასწრაფო, გადაუდებელი ღონისძიებანი ქალაქში შემოტანილი პროდუქტების სავარაუდო რადიაქტიური დაბინძურების გარკვევის თვალსაზრისით. ამ ეტაპზე არც შესაძლო დამნაშავეთა ძებნაა აუცილებელი. ისინიც საერთო, საშვილიშვილო საქმის ფერხულში უნდა ჩაებან...

რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საკრებულომ იმსჯელა ზემოთ მოყვანილ ანგარიშსა და დასკვნებთან დაკავშირებით. გამოირკვა, რომ უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე, „საქსურსათვაჭრობის“ ბაზაში არ გადმოიტვირთება არცერთი სახის პროდუქტი, თუ რადიაციული თვალსაზრისით არ შემოწმდა. (სპეციალურად აღებული სინჯები მიაქვთ მცხეთაში და იქ ამოწმებენ). ღმერთმა ქნას, ყველაფერი ეს სათანადოდ კეთდებოდეს, მაშინ შესაძლებელია ჩვენი შეხედულებაც შესაცვლელი და დასკვნებიც გადასახედი იყოს.

კომისიის ერთ-ერთი წევრი გაუშვით ქ. კიევში, სადაც რადიაციული კონტროლი, სსრკ-ს სხვა ქალაქებთან შედარებით, ყველაზე მაღალკვალიფიციურადაა მოგვარებული. წაღებული პროდუქტების რადიაციული შემოწმების შედეგებს საქალაქო პრესის საშუალებით ვაცნობებთ საზოგადოებრიობას.

ქალაქის ხელმძღვანელობამ აღგვითქვა, რომ სასწრაფოდ გახსნიან რადიაციული ფონის შემსწავლელ ლაბორატორიას, ყველაფერს გააკეთებენ მისი საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სათანადო აპარატურით აღჭურვისათვის.

რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს უახლოეს მომავალში შექმნას არა მარტო სამამულო, არამედ უახლესი იმპორტული დანადგარებით აღჭურვილი, რადიაქტიური დაბინძურების შემსწავლელი ალტერნატიული ლაბორატორია, რომელიც აღნიშნული კუთხით შეისწავლის ქალაქში შემოსული ნებისმიერი სახის პროდუქტს; მოსახლეობას საშუალება ექნება მიმართონ მას, რათა საბოლოოდ დარწმუნდნენ პროდუქტთა ვარგისიანობაში. ვფიქრობთ, აგრეთვე ინდივიდუალური მოხმარების დოზიმეტრული ხელსაწყოების დამამზადებელი კოოპერატივის გახსნაზეც...

ერთი სიტყვით, სასიკეთო ძვრები აშკარად შეიმჩნევა. უკეთესობის მისაღწევად ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ.

# ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚ.

საქართველოს კპ (ბ) ქუთაისის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანი ა. მგელაძე

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ სტალინის ინიციატივით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში თბილისის ოლქთან ერთად შეიქმნა ქუთაისის ოლქი. ქალაქი ქუთაისი ქუთაისის ოლქის ცენტრია.

ქუთაისი ყოველთვის იყო საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ქალაქი. თავისი სამრეწველო მნიშვნელობით მან სამართლიანად მოიპოვა პირველი ადგილი თბილისის შემდეგ.

ჩვენი მთავრობა საოლქო ცენტრის — ქალაქ ქუთაისის რეკონსტრუქციასა და კეთილმოწყობას ათეულ მილიონობით მანეთს მოახმარს. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი, რაც ამ ფულით აშენდება, მხოლოდ საუკეთესო ხარისხისა უნდა იყოს.

ქუთაისში ბევრია საკავშირო მნიშვნელობის საწარმო, რომელიც საბინაო მშენებლობას ეწევა, მაგრამ ამ საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელი რატომღაც ტენდენციას იჩენს, საცხოვრებელი სახლები აშენოს განაპირა უბნებში და აშენოს მცირესართულიანი სახლები, რაც სრულიად დაუშვებელია. ამ უვარგისი პრაქტიკის შედეგია ის, რომ ქალაქის ყველაზე კეთილმოწყობილ ცენტრალურ ნაწილში ,მთავარ მაგისტრალებზე და მოედნებზე მშენებლობა სუსტად მიმდინარეობს. ეს შეუწყნარებელია.

ამასთან ეს სამეურნეო მუშაკები ცდილობენ ,ასეთი პრაქტიკა იმით გაიმართლონ, რომ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲕᲐ. მაგრამ თუ ისინი სწორად ივარაუდებენ, დაინახავენ ,რომ ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐᲣᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲘᲐ, რადგან ეს მოითხოვს ქალაქის კომუნიკაციების —წყალსადენის ,კანალიზაციის და სხვ. მშენებლობას.

ქუთაისის პირობებში არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს მცირესართულიანი სახლების შენება, როგორც წესი, ქუთაისში ოთხ-ხუთსართულიანი სახლები უნდა შენდებოდეს. მრავალსართულიანი სახლების მშენებლობა უფრო ეკონომიური და ხელსაყრელია.

დიდი სახლები არა მარტო ამშვენებენ ქალაქს, არამედ უფრო კაპიტალური არიან და მეტ ხანს სძლებენ.

რა თქმა უნდა, საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თითქოს საჭიროა მარტო ქალაქის მხოლოდ ცენტრის კეთილმოწყობა. კეთილმოწყობილ უნდა იქნას განაპირა უბნებიც. არავითარი დაპირდაპირება აქ არ შეიძლება და არც უნდა მოხდეს. საქმე ეხება მხოლოდ იმას, რომ ᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲯᲓᲔᲑᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲫᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲐᲡ, მაგრამ სადაც უკვე არის ქალაქის მეურნეობის ყველა კომუნიკაცია.

ქუთაისელებს ძლიერ უყვართ თავიანთი ქალაქი. ისინი ამაყობენ იმით, რომ ცხოვრობენ ქალაქში, სადაც რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა დიდი სტალინი. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜ.

დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი ქუთაისის მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო.

1903 წლის 19 აპრილს ამხანაგი სტალინი ბათუმის საპყრობილიდან გადაყვანილ იქნა ქუთაისის საპყრობილეში. პატიმრობაში მყოფი ამხანაგი სტალინი რევოლუციურ მუშაობას განაგრძობდა და კავშირი ჰქონდა დამყარებული ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასთან.

1904 წლის იანვარში ამხანაგი სტალინი ციმბირის გადასახლებიდან გამოქცევის შემდეგ ქუთაისში ჩამოდის და კვლავ უშუალოდ ხელმძღვანელობს რევოლუციურ ბრძოლას.

ამხანაგმა სტალინმა თავის თანამებრძოლებთან ერთად ქუთაისის გუბერნიაში მოაწყო დისკუსია, რომლის დროსაც აცამტვერებდა მენშევიკებს და ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, მტკიცედ იცავდა ლენინურ ხაზს.

ქუთაისში რევოლუციური მუშაობის პერიოდში — 1904 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ამხანაგმა სტალინმა დაწერა თავისი ცნობილი „წერილები ქუთაისიდან“.

ქუთაისელები სიყვარულით უვლიან და იცავენ დიდი სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებს.

ამიტომ სავსებით გასაგებია თვითეული ქუთაისელის სურვილი — ნახოს ქუთაისი კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი, დიადი სტალინური ეპოქის შესაფერი.

ქალაქ ქუთაისის მშენებლობა და რეკონსტრუქცია მთელი საოლქო პარტიული ორგანიზაციის ღირსების საქმეა.

კომუნიზმისათვის ქუთაისელების ბრძოლაში განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს სტალინური რევოლუციური ტრადიციების სიდიდე და ძალა.

სტალინური ტრადიციები — აი რა აღაფრთოვანებს და რაზმავს ქალაქ ქუთაისის პარტიულ ორგანიზაციას და ყველა მშრომელს ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

ქუთაისელთა ახალი გამარჯვებების საწინდარია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ სტალინის მამობრივი ზრუნვა სახელოვან ქალაქ ქუთაისის შემდგომი აყვავებისათვის.

*) იბეჭდება შემოკლებით. გაზეთი „კომუნისტი“, 1951 წლის 27 დეკემბერი.

* * *

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ:

ᲓᲐᲘᲜᲒᲠᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲝᲪᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲜᲒᲠᲔᲕᲐ. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲣᲑᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲠᲘᲒᲠᲘᲒᲝᲑᲘᲗ ᲥᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ—ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲔᲑᲘ, ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲛ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲘᲢᲙᲘᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲓᲐᲬᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲮᲘᲡ ᲩᲣᲥᲣᲠᲗᲛᲔᲑᲘᲐᲜᲘ, ᲙᲝᲮᲢᲐ ᲐᲘᲕᲜᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ. ᲒᲐᲥᲠᲐ ᲧᲐᲤᲐᲜᲘᲪ. ᲛᲝᲘᲡᲞᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲝᲑᲐᲜᲘ...

ᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲨᲔᲡᲐᲨᲣᲠᲘ ᲡᲘᲑᲔᲯᲘᲗᲘᲗ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲨᲔᲛᲩᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲝᲛᲔᲚ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲐᲡᲔᲗ ᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ: „ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐᲣᲡᲐᲮᲚᲔᲑᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲘᲐ“ ᲐᲜᲓᲐ „**ᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲯᲓᲔᲑᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲫᲕᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲐᲡ...**“

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲚᲔ — ᲠᲐᲛᲝᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲡ, ᲮᲝᲚᲝ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲨᲔᲬᲔᲕᲜᲘᲗ, ᲘᲥᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲣᲛᲐᲚ ᲐᲣᲙᲠᲔᲡ ᲒᲣᲓᲐ-ᲜᲐᲒᲐᲓᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝ ᲙᲘ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲡᲔᲗ ᲙᲐᲪᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲛᲘᲡᲢᲘᲠᲘᲡ, ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡ ᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ — ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ — ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲛᲜᲒᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘ.

ᲒᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲐᲠ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲡ: „**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜ...**“

ᲐᲤᲡᲣᲡ, ᲛᲐᲛᲐ-ᲞᲐᲞᲐᲜᲝ, ᲩᲕᲔᲜᲝ ᲓᲘᲓᲝ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲔᲑᲝ! ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲨᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲩᲔᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲑᲐᲒᲠᲐᲢ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ, ᲛᲔᲤᲔᲗᲐᲛᲔᲤᲔ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ, ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ, ᲡᲣᲚᲛᲜᲐᲗᲘ ᲐᲙᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘ...

ᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ!

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲢᲔᲠᲔᲝᲢᲘᲞᲔᲑᲘ ᲘᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲐ.

ᲛᲐᲠᲐᲓ ᲐᲮᲐᲚ ᲓᲐ ᲣᲑᲔᲠᲔᲑᲔᲚ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ, ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲣᲠ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲡ ᲔᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲒᲖᲐ.

ᲬᲘᲜ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲝ, ᲫᲚᲘᲔᲠᲘ, ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ, ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲙᲔᲜ,

ᲬᲘᲜ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნეობოლშევიზმი“ და არქიდემაგოგია

ეროვნული მოძრაობა მრავალ ქართველს აღიზიანებს.

პირობითად ისინი შეიძლება ოთხ ჯგუფად დავყოთ: 1. მყარი სოციალური მდგომარეობის მქონე ფენა მცირე გამონაკლისის გარდა: პარტიული და კომკავშირული (ყოფილი) ფუნქციონერები, სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლები, საწარმოო-დაწესებულების ხელმძღვანელები და ა. შ. 2. ინტელიგენციის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელსაც ეროვნული მოძრაობის „დონე“ არ აკმაყოფილებს. მათი დამოკიდებულება ეროვნული მოძრაობისადმი ფრიად სნობისტურია. ისინი . გამუდმებით მსჯელობენ პოლიტიკაზე, აანალიზებენ მოვლენებს, თითქოს მხარსაც უჭერენ მოძრაობას, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ პასიური დამკვირებლების როლში გამოდიან და ბევრ მათგანს გულის სიღრმეში სურს კიდევაც, რომ „არაფორმალებმა“ მალე მოიტეხონ კისერი. 3. მარადიული სკეპტიკოსები, რომლებიც უწინ საბჭოთა წყობას აკრიტიკებდნენ, ახლა კი „არაფორმალების“ ლანძღვით იოხებენ გულს. 4. საბჭოთა იდეოლოგიით გონებამოწამლული მასა, რომლის შესახებაც, მე მგონი, საერთოდ არა ღირს საუბარი.

სწორედ ეს გაღიზიანებული ქართველობაა თავისუფლებისათვის ბრძოლაში ერთიანობის ძირითადი ხელისშემშლელი მიზეზი. შეიძლება ვთქვათ, რომ ესაა ქართველთა „ჩუმი ინტერფრონტი“ ქართველთა წინააღმდეგ, ამ პირობითი ოთხი ჯგუფიდან ბოლო ორი ეროვნულ მოძრაობას, ალბათ, ბალტიისპირეთშიც უქმნის გარკვეულ სიძნელეებს. სამაგიეროდ პირველი ორი იქ მეტად მოქმედი და აქტიურია. სწორედ მათ შეასხეს ხორცი ბალტიისპირელ დისიდენტთა მრავალ ჩანაფიქრს ისე, რომ თავად დისიდენტები სახელმწიფო აპარატში დივერსანტებად არ შესულან. ჩვენსა და ბალტიისპირელთა შორის არსებულ ამ განსხვავებას, რა თქმა უნდა, აქვს ისტორიული მიზეზები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ახლა თავის მართლების დრო არაა. ჩვენ საქართველოში შექმნილი სიტუაციის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ და თუ „არაფორმალებს“ (უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობ შეურიგებელ ოპოზიციას) მხარში არ ამოვუდგებით, მათ განქიქებას მაინც უნდა ვანებოთ თავი.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ არსებობს ორი სახის კრიტიკა: პირველი — მოყვრისმიერი კრიტიკა, რომელიც არსებული ნაკლის გამოსწორებას ისახავს მიზნად და მეორე — მტრისმიერი კრიტიკა, რომელიც მიზანში ამოღებული ობიექტის თუ სუბიექტის დამცირებასა და გაბიაბრუებას ლამობს. დღევანდელ საქართველოში მეორე ტენდენცია აშკარად სჭარბობს პირველს. კერძო საუბრებში თუ პრესით ხშირად ესხმიან თავს „არაფორმალთა“ ლიდერებს. თავს ესხმიან ზოგჯერ თითოეულს, ხოლო ზოგჯერ ყველას ერთად. „კრიტიკა“ არცთუ მრავალფეროვანია და მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ ბრალდებაზე, როცა „არაფორმალთა“ ლიდერებს და ე. ი. შესაბამის პარტიებსაც ნეობოლშევიკებს უწოდებენ.

ბოლშევიზმი თავისი არსით მთლიანად სოციალური მოვლენაა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი გასცდა რუსეთს, ბოლშევიზმი ამოქმედდა ეროვნული ნიშნითაც, თუმცა სოციალური ნიღაბი მას იმპერიის აღდგენა-გაფართოების არცერთ ეტაპზე არ მოუშორებია. ამ ნიღაბს იმპერია დღესაც საკმაო წარმატებით იყენებს. „არაფორმალები“ კი მკვეთრად ემიჯნებიან ყოველივე სოციალურს. მარტის საგანგებო კონფერენციაზე ეს არაერთხელ აღნიშნეს გიორგი ჭანტურიამ და ირაკლი წერეთელმა. ზემოთ თქმულიდან ძნელი აღარაა იმის დასკვნა, რომ ქართველი „არაფორმალების“ ნეობოლშევიკებად მონათვლა ან ტერმინებისადმი უგულისყურობაა, ან უვიცობა და ან დემაგოგია. ანალოგიური წარმატებით შეგვიძლია მთელ ქართველ ერს სიონიზმში დავდოთ ბრალი, ხოლო ერეკლე მეფეს ველიკორუსი შოვინისტი ვუწოდოთ.

საბაბი იმისა, რომ ქართველ „არაფორმალებს“ ნეობოლშევიზმი უკიჟინონ, მათი რადიკალური პოზიციებია. მაგრამ აქაც ერთგვარ უზუსტობასთან გვაქვს საქმე. ფსიქოლოგიურად ბოლშევიზმის განმსაზღვრელი იყო არა მარტო რადიკალიზმი და რევოლუციური განწყობა, არამედ უზნეობაც. ბოლშევიკებმა უარყვეს მარადიული ღირებულებები, ხვრეტდნენ ქალებს, ბავშვებს, ძმებსა და მამებს. მათ ეკუთვნით რეპრესიების მსოფლიო რეკორდი. მიზნის მისაღწევად არ ერიდებოდნენ ტყუილსა და თვალთმაქცობას (რად ღირს თუნდაც 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოსთან). ყოველივე ეს უზნეობაა და არა რადიკალიზმი. თავისთავად რადიკალიზმი კი არ გახლავთ აბსოლუტურად უარყოფითი კატეგორია. რადიკალური მსოფლმხედველობის იყო თითქმის ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მსოფლიო ისტორიაში. თავისუფლება ყველაზე რადიკალური სუბსტანციაა მათ შორის, რაც კი ადამიანის გონებას მოუფიქრებია და თავისუფლებისათვის ბრძოლაში რადიკალიზმი, მე მგონი, აუცილებელი თანამგზავრია. რაც შეეხება ზნეობას, ეროვნული მოძრაობის ლიდერები რომ უდიდეს ყურადღებას აქცევენ ზნეობრივ მხარეს და აქცენტს ქრისტიანულ მორალზე აკეთებენ, მე მგონი სადავო არ უნდა იყოს.

ქართველ „არაფორმალებს“ რომ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ და სამასივე ადგილი მოეპოვებინათ უზენაეს საბჭოში (ეს რომ ასე მოხდებოდა, პირადად მე ეჭვიც არ მეპარება), საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას დიდად ვერაფრით წაადგებოდნენ, ხოლო ის ხალხი, რომელიც ახლა მათ ბოიკოტის გამო აკრიტიკებს, იტყოდა, რომ ისინი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნავდნენ და როგორც კი მთავრობაში შევიდნენ, საბჭოთა ხელისუფლებას შეეკრნენო.

მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი მთელი პასუხისმგებლობით შეარჩევს და გაგზავნის დელეგატებს ნებისმიერ კონფერენციაზე, თუკი მას საქართველოს მარიონეტული მთავრობა მიიწვევს, „არაფორმალებთან“ საუბარი კი მათ არც იკადრეს, ხოლო უარი დაასაბუთეს მეტად სუსტი არგუმენტებით. განა მწერალთა კავშირი, ექიმთა ასოციაცია ან მეტალურგთა კავშირი პოლიტიკური ორგანიზაციები გახდნენ იმით, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს? თუკი ასე გულით სურდათ 25 მარტის არჩევნებში მონაწილეობის მიღება, კონფერენციაზეც ხომ ერთ-ერთ ძირითად საკითხად 25 მარტის არჩევნები იხილებოდა. ეთქვათ თავიანთი აზრი. სხვას არაფერს მოითხოვდნენ მათგან.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მხრიდან იმ ფაქტის გაუცნობიერებლობა, რომ „არაფორმალები“ დღევანდელ საქართველოში რეალურ ძალას წარმოადგენენ, დიდად არ განსხვავდება ჯუმბერ პატიაშვილის და მისი აპარატის შეცდომებისაგან იმავე „არაფორმალებთან“ დამოკიდებულებაში.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ გვიკვირს მათი რადიკალიზმი. მინდა ჩემი წერილი „ექსტრემისტული“ აფორიზმით დავასრულო, რომელსაც ხშირად ვიმეორებ და რომელიც, ჩემის აზრით, ზედმიწევნით მიესადაგება დღევანდელ ქართულ ეროვნულ მოძრაობას: „ნუ გეშინიათ მარცხის, გეშინოდეთ პატარ-პატარა გამარჯვების“.

ასე ამბობდა ფრიდრიხ ნიცშე.

* * *

გაზაფხული დამდგარა საბჭოთა კავშირში — ლიტვასა და სომხეთში დამატებითი ჯარები შეუყვანიათ.

**ზაზა გამეზარდაშვილი**

# უბედური შემთხვევა

ის უბედური შემთხვევა, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, 1989 წლის 3 დეკემბერს მოხდა და მის შესახებ მრავალგვარი ხმა გავრცელდა.

ხსენებულ დღეს, დილით ადრე, ქალაქის ცენტრში, კიკვიძის ძეგლთან, ერთ-ერთი კოოპერატიული სახლის მცხოვრებლებმა შეამჩნიეს მობინადრე ხაინდრავას ბინიდან გამომავალი ორთქლის ძლიერი ნაკადი, ქვედა სართულშიც წყალმა იწყო ჩამოსვლა. ძახილსა და კარებზე ჯაჯგურს შედეგი არ მოჰყოლია და ხალხმა სახანძრო გამოიძახა. აიწინაღიანმა მეხანძრეებმა კარები შეამტვრიეს. ლოჯში, ტახტზე ესვენა ორი გვამი, მეორე ოთახში კიდევ ერთი. მუშაობდა გაზით წყლის გასათბობი კოლონა, იღვრებოდა ცხელი წყალი და ციმციმებდა გამოურთავი ტელევიზორი.

განსვენებულები: მამაკაცი— ილორის ეკლესიის არქიმანდრიტი მირიან, ერისკაცობაში, გიორგი მიხეილის ძე ჩალაბაშვილი 50-ამდე წლისა, ბიჭი –მიხეილ ვახტანგის ძე ჩალაბაშვილი, 11 წლის, ძმისშვილი არქიმანდრიტისა, ქალი –ნატო იაგორის ასული უხუნგურაშვილი, 35 წლის, დედა ბიჭისა და რძალი ჩალაბაშვილისა.

მონაცემების შეპირისპირებისა და ექსპერტიზის შედეგად დადასტურდა ნახშირორჟანგით მოწამვლა. მცირეოდენი ფართობი რომ მოემატებინათ ერთოთახიანი ბინისათვის, მობინადრეებმა გადააადგილეს გაზის კოლონა, გადააადგილეს იგი ყოვლად უხეიროდ, ყველა ნორმის დარღვევით, რამაც გამოიწვია დაგროვილი ნახშირორჟანგით (იგი გარეთ ვერ გავიდოდა რიგიანად) ადამიანების გაბრუება, დაძინება. ეტყობოდა, ბავშვს უცდია წამოდგომა, მაგრამ ვერ მორევია ხანგს და დაღუპულან ადამიანები.

ეს იყო დამაღონებელი, უბედური შემთხვევა და ყველაფერი დასრულდებოდა, რომ არა ზოგიერთი გარემოება. სასულიერო პირის ნივთებს შორის იყო 6800 მანეთი, 9000 მანეთის აკრედიტივი, „მარგოლინის“ სისტემის ლულაგადაჭრილი, უნომრო, „ვალტერის“ ტიპის კოროზირებული, ისიც უნომრო პისტოლეტები და მცირეკალიბრიანი შაშხანის 15 ვაზნა. ქვევით, სადარბაზოსთან კი იდგა ახალი „ვოლგა“ გაზ–24.

არქიმანდრიტი გიორგი (მირიანი) ჩალაბაშვილი 1940 წელსაა დაბადებული გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში. იყო ოთხჯერ ნასამართლევი.

1. 1962 წელი: სხეულის განზრახ, მძიმე დაზიანება.
2. 1965 წელი: მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება, ცეცხლის წაკიდებით და და იქვე ძარცვით.
3. 1967 წელი: ყაჩაღობა.
4. 1983 წელი: ავტოავარია, რომელიც 100 მანეთი ჯარიმის გადახდით დასრულდა (?)

ამის შემდეგ იწყება სრული მეტამორფოზა: 1970 წელს ან ცოტა ადრე იგი ხდება ბერი, 1970 წლის შემდეგ კი უკვე ეკლესიის მსახურია, ჯერ მოწამეთაშია, მერე ნიკორწმინდაში, გაგრაში და ბოლოს ილორში — უკვე არქიმანდრიტად, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ საქართველოს ეკლესიის მეთაურის ხელდასხმით ხდება.

არვინ იფიქროს, გარდაცვლილის წარსულის ჩხრეკა რაღაც ჟურნალისტური ჟინი იყოს, არა, მისი სული უზენაესს წარუდგებოდა, ყველაფერი მისხლობით აიწონებოდა და ისე მიეზღვებოდა. ისიც ვიცით, რომ ქრისტიანული რელიგიის ისტორიამ უფრო მკვეთრი გარდასახვები იცის, მაგრამ გარდასახვის შემდგომი ცხოვრება კი უკვე ბროლივით სუფთა და გამჭირვალე უნდა იყოს.

1989 წლის დასაწყისიდან ილორის ეკლესიის მრევლის ასეული (მეგრულად საოში) დაჟინებით მოითხოვს ილორიდან მის წასვლას და გაუშვეს კიდეც გასული წლის სექტემბერში. მიზეზების ჩამოთვლა არ ღირს, ისინი შედარებით წვრილმანებია, მაგრამ მეტად არასახარბიელო. აქედან ის წავიდა სოფელ ჭუბურხინჯში, სადაც ეკლესია შენდება და ალბათ იქ განწესდებოდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში, ეს იგრძნობოდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის დავითის საუბარში.

შემთხვევით, თუ ღვთის ნებით დასრულდა ამ უბედურების ცხოვრება, მაგრამ არ დასრულებულა იგი მათი ახლობლებისათვის. ამ ამბის გაგებისთანავე გამოცხადდა მამა-მიხეილ ჩალაბაშვილი — 87 წლის მოხუცი, და „ვოლგა“, რომელიც მის სახელზეა გაფორმებული და შვილის მემკვიდრეც ის გახლავთ, სასწრაფოდ წაიყვანა. იგი მას თურმე შარშან უყიდია ლვოვში. ფულსა და ნივთებზეც დიდი დავაა ნათესავებს, ახლობლებს შორის, აქტიურობენ ვიღაც ტერ-მარკოზაშვილები, სხვებიც და როცა ყველაფერი გაირკვევა, ყველაფერი განათდება, ალბათ გარდაცვლილთა სულებისთვისაც ილოცებენ.

**ზ. ნ.**

# წინადადებით შემოვდივარ

როგორც ცნობილია, ბაგრატის ტაძრის გაწმენდა და შემდეგ აღდგენა-რესტავრაციის ახალი ეტაპი 1984 წლის მაისიდან დაიწყო.

გასუფთავდა ტაძრისა და მისი ზღუდე-გალავნის მიმდებარე ტერიტორია — აღებული იქნა ცხრამეტი საცხოვრებელი სახლი და ყოფილი საბუღალტრო. სკოლის შენობა, სარელეო კოშკი. მოკლედ, ეს იყო ქალაქის მშრომელებისა და მისი ხელმძღვანელების ენთუზიაზმის შედეგი.

მაგრამ ზემოთ აღნიშნული საკითხი კვლავ ყურადღებას მოითხოვს.

მაგალითად: ჯერ კიდევ საჭირო დონეს ვერ მიაღწია ადაპტაცია—რეგენერაციის სამუშაოების მართვის მწყობრმა სისტემამ.

ამ რამდენიმე ხნის უკან ტელევიზიით გამოვიდა საქართველოს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველოს უფროსი პროფესორი ირაკლი ციციშვილი, რომელმაც თქვა, თითქოს ბაგრატის ტაძარზე რესტავრაციისა და კონსერვაციის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და სამეცნიერო საბჭო მისი დახურვის საკითხს განიხილავსო.

მე არ მინდა პატივცემულ პროფესორს შევედავო, მაგრამ შემომრჩა პირველ ეტაპზე ტაძარზე დასამთავრებელი სამუშაოების ნუსხა, რომელიც ხელმოწერილია მთავარი სამმართველოს კოლეგიის წევრის, სამეცნიერო—სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების მაშინდელი დირექტორის რევაზ საყვარლიშვილის მიერ (7. 8. 1985 წ.). და რომელიც შეთანხმებული იყო ვახტანგ ცინცაძესა და თვით ბატონ ირაკლი ციციშვილთან, სადაც მითითებულია ტაძარზე შესასრულებელი სამუშაოები (დროის ჩვენებით). ნუსხაში გათვალისწინებულია სამი ისეთი საკითხი, რომლის შესრულების შემდეგ ფაქტიურად გამოიკვეთებოდა, გახდებოდა თუ არა ტაძრის დახურვა შესაძლებელი. ეს სამუშაოები კი დღესაც შესასრულებელია.

კიდევ მრავალ საკითხზე შეიძლებოდა ყურადღების გამახვილება, მაგრამ მკითხველი რომ არ გადავღალო, მოკლედ დავსძენ: ბაგრატის ტაძარი, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნებოდა ასე ხელშეუხებლად მიტოვებული, რომ ამ ექვსიოდე წლის უკან ინიციატივა არ აელო ქუთაისის იმჟამინდელ ხელმძღვანელობას, კერძოდ, აწ განსვენებულ მამუკა ასლანიკაშვილს, ამიტომ წინადადებით შემოვდივარ, ბაგრატის ტაძართან მდებარე ჩელიუსკინელების ქუჩას ასლანიკაშვილის ქუჩა ეწოდოს.

**ლევან ჯიქია**
ბაგრატის ტაძრის სამუშაოთა საკოორდინაციო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე

# „რით შევცვალოთ?!“

„მონამეთას“ წინა ნომერში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ „რით შევცვალოთ“, სადაც ვაცხადებდით კონკურსს ლოზუნგის „Слава КПСС — დიდება სკკპ“ ეროვნული შინაარსის მოწოდებით შესაცვლელად, მკითხველთა ფართო გამოხმაურება გამოიწვია. საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი გ. წიკლაური და ჯ. არაბიძე გვთავაზობენ იგი შეიცვალოს მოწოდებით „მამული, ენა ,სარწმუნოება“. ქუთაისის 25-ე საშუალო სკოლის მე-8 ა კლასის მოსწავლის დათო მელქაძის აზრით კი სასურველი იქნება მოწოდება —„დიდება დამოუკიდებელ საქართველოს“, „საქგეოლოგიის“ ქუთაისის ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლები ვ. თუთისანი, ი. ტურძელაძე, ვ. ჯანელიძე და ნ. მანჯგალაძე ზემოთდასახელებულის ნაცვლად გვთავაზობენ: „დიდება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირებს“, მ. თევდორაძე — „ღმერთი ჩვენთანაა, აწ შეიცან თავი თვისი“. უმრავლესობის აზრით, უკეთესი იქნება ლოზუნგი: „დიდება 1918 წლის 26 მაისს“ და სხვა.

რედაქცია მადლობას მოახსენებს ყველას ყურადღებისა და გამოხმაურებისათვის. ჩვენი პოზიცია გარკვეულწილად თანხვდება ქვემოთ მოყვანილ გამოხმაურებას. იქნებ უკეთესია მისი გაზიარება.

ღმერთმა გიშველოთ ასეთი მშვენიერი გაზეთის გამოშვებისათვის.

ეს წერილი მარტო მოლოცვის წერილად მინდოდა ყოფილიყო, მაგრამ გულმა ვერ მომითმინა და შემოგთავაზებთ ჩემს აზრს თქვენს მიერ გამოცხადებული კონკურსის თაობაზე.

ჩემი წერილის მიღებამდე, შეიძლება არც იცოცხლოს ლოზუნგებს შორის უსაძაგლესმა: „სლავა კპსს“ -მ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის „სტენდი“ მთლიანად უნდა იქნას აღებული (ქუთაისს ჯართის გეგმა უჭირს?!) ვისაც სამშობლო უყვარს — ხომ უყვარს და ვისაც არა, მას ლოზუნგია, რაგინდ მშვენიერიც უნდა იყოს, ვერას უშველის.

შეიძლება ვინმემ გამკიცხოს, მაგრამ ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია თუნდაც ჩვენი სულიერი მამის ილიას სიტყვების ეგრე რიგად მომრავლება. თბილისში ერთ-ერთ ბოსტნეულის მაღაზიაშიც კი გაუკრავთ ილიას აზრი სოფლის მეურნეობაზე. ამაში ხომ არ იმალება ის მზაკვრობა, რომელიც გაუცნობიერებლად (სიბევრის გამო თუ) განაწყობს ადამიანს საწინააღმდეგოდ? სიმართლე გითხრათ, მე ლენინი ბავშვობიდან მხოლოდ იმიტომ არ მიყვარდა, რომ ყველგან მის სურათს, ძეგლს და აზრებს მაჩრიდნენ.

**კობა ლიპარტელიანი**

# ბრძანდებოდეთ, ბატონო, ბრძანდებოდეთ!

**კომკავშირისა და შრომის ვეტერანს, „სახალხო განათლების წარჩინებულს" ბატონ ნოე მაღლაკელიძეს გაზეთ „ქუთაისში" დაბეჭდილი წერილის გამო — „რატომ არ გავდივარ სკკპ რიგებიდან?"**

უცნაური ამბები ხდება ჩვენს ირგვლივ და თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ბატონო ნოე, სულზე რომ მოუსწარით ამ „გზააბნეულ ახალგაზრდებს", დროულად რომ დაარისხეთ განგაშის ზარები 28 მარტის გაზეთ „ქუთაისის" ფურცლებიდან. ჭეშმარიტად ბოლშევიკურია თქვენი გულისტკივილი: — „აფსუს, როგორ გვეცლება ხელიდან ეს სიმწრით აშენებული სოციალიზმი?!".

კამათს, ისიც თქვენისთანა გამოცდილ, მითუმეტეს „წარჩინებულ" კაცთან როგორ გავბედავ, ნოე ბატონო, სულაც არ ვაპირებ წყლის ნაყვას, მაგრამ ვერც მარტო დაგტოვებთ თქვენს მწუხარებაში და შემოგძახებთ გასამხნევებლად: — „რისი გეშინია, შე კაცო, მართლა კი არ იქცევა ქვეყანა!"

წარმომიდგენია, თქვენ და თქვენს მეგობრებს, აწ უკვე ყავლგასული კომკავშირის ვეტერანებს, რომლებმაც „საკუთარი მხრებით მიიტანეთ ეს ცხოვრება", როგორ აღგაშფოთებთ ჩემისთანა „ცხვირმოუხოცავი ღლაპის" თავხედობა, მაგრამ სხვა გზა არაა, უნდა გაგაწბილოთ: — მე, ჩემო ბატონო, კაი 40 წელს მიღწეული კაცი გახლავართ, უფრო ახალგაზრდობაში კომკავშირელიც ვიყავი და სხვათა შორის, ჭერჭერობით სწორედ იმ პარტიაში ვარ, რომელიც დღეს თქვენი დასაცავი გამხდარა... გაგიკვირდათ ხომ?! ან იქნებ „შემოპარული მტერი" გგონივართ, „იმპერიალისტთა საზიზღარი დამქაში", ჰა?! გაბედულად თქვით, ნუ ყოყმანობთ, ბატონო ნოე, ნუ ყოყმანობთ, სხვათა შორის, ეს ყოყმანი და დაბნეულობა სათაურიდანვე იგრძნობა თქვენს წერილშიც, თორემ რა გრჭიდათ, განა ვინმემ გკითხათ — რატომ არ გადიხართ სკკპ რიგებიდან, ან რატომ რჩებით?!

მოდით, შევეშვათ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს და დავუბრუნდეთ თქვენს ზემოთ აღნიშნულ წერილს, რომელიც ბოლშევიკური უტიფრობის და დემაგოგიის შესანიშნავი ნიმუშია.

— რაო, როგორ ამბობთ?!

„ბევრ უსამართლობას ვხედავთ და ვისმენთ ტელეეკრანებიდან, ბევრ მცდარ და ცილისმწამებლურ სტატიებს (გრამატიკაში აღარ შემოგედავებით, თორემ „ბევრ სტატიებს კი არა, „ბევრ სტატიას" უფრო სწორია! — გ. შ.) ვკითხულობთ პრესაში, ლაფში სვრიან ხალხის ნაშრომ-ნაამაგარს სისტემას, აუგად იხსენიებენ კომუნისტურ პარტიას და მის მიერ განვლილ გზას..."

კარგით, რა ბატონო ნოე, ამას, რასაც თქვენ ხალხის ნაშრომ-ნაამაგარს ეძახით, კიდევ თუ ლაფი აკლია, მართლა აღარ ყოფილა საშველი! წერისას გულში რომ გიხაჭუნებდათ ცხადია და რისი მოგერიდათ, ბარემ გეთქვათ: — „კომუნისტურ პარტიას და მის მიერ სახელოვნად განვლილ გზასო"!

აგერ, წინ გვიდევს თქვენი წერილიდან მოტანილი ეს აბზაცი და ბარემ აქვე გეტყვით — მიუხედავად იმისა, რომ მე და თქვენ სულ სხვადასხვა ყაიდის ხალხი ვართ, პრინციპში გეთანხმებით პირველ ნაწილში, თუმცა რა, ბატონო ნოე, ეტყობა, ამ ცილისწამებას მაინც ვერ ავიცილებთ, ცენტრალური ტელევიზია, რადიო და პრესა, ისე უნუგეშოდ დაავადდნენ „ქართული სინდრომით", თავიც რომ გავწიროთ, სააქაოს იმათ მაინც ვერ მოვაბრუნებთ. არა, ზუსტად ერთ აზრზე აქაც არ ვდგევართ, რასაკვირველია, თქვენ სხვა კარს უკაკუნებთ, მე კიდევ სულ სხვას, მაგრამ გულწრფელად გეუბნებით, მე მესმის თქვენი, თქვენი თაობის, საერთოდ, თქვენ ისეთ დროს მოესწარით, ოცნებაც კი დაგისაჭურისეს და მთელი ცხოვრება გალოდინეს: — აგერ-აგერ არქიფო სეთურის ყრუ-მუნჯი ზარს ჩამოკრავსო!

არ ჩამოკრა, ბატონო ნოე, არ ჩამოკრა, ანდა როგორ ჩამოკრავდა, თუ ღმერთი გწამს, თქვენ იქეთ თხრიდით და ერთი კლდის ღრუს (ახლა რომ ჩიხს ვეძახით) ვერ ცილდებოდით, ის კიდევ აქეთ იჯდა — ჰაში, ბატონო ნოე, ჰაში! თანაც ყრუ იყო, ყრუ, შე ღვთიანმადლიანო!

უკვე ვატყობ, ბატონო ნოე, აწი და აწი მე და თქვენ უფრო სერიოზული საუბარი გვექნება და როგორც პატიოსან ხალხს შეეფერება, მოდით, ამთავითვე შევთანხმდეთ: — მე მოგახსენებთ მხოლოდ ფაქტებს, თქვენ კი ბატონი ბრძანდებით, სულ ერთია, მაინც არ მოიშლით და იჩიჩქნეთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტატებში, აგერაც ნახავთ, ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოს ჯერ „დასაწევად" და მერე კიდევ „გასასწრებად" თავაწყვეტილ სირბილში თითები თუ არ გამოგვიცვივდება ფეხსაცმელებიდან და შიმშილის ზღვარზე მდგომებს, საბჭოთა ნორმებით დაანგარიშებული ტალონები თუ არ შეგვრჩება ხელში, საბჭოთა ნორმებით დასაშვები რადიაციული პროდუქტების შესაძენად!

ჰო, როგორც თქვენ ბრძანებთ, ბატონო ნოე, თურმე: — „დალადიეს მთავრობამ უღალატა ფრანგ ხალხს და პარიზი უბრძოლველად ჩააბარა ჰიტლერს (ასე მოიქცა სტალინი?) მაგრამ დალადიეს ღალატის გამო ბუკითა და ნაღარით არავინ ამხედრებულა".

როგორც ვატყობ, თქვენ ისტორიაში საკმაოდ გაცნობიერებული კაცი ხართ, მაგრამ იქნებ გადაგავიწყდათ და შეგახსენებთ, რომ 1812 წლის სამამულო ომში კუტუზოვმა უბრძოლველად დაუთმო მოსკოვი ნაპოლეონს, თუმცა ამისათვის იგი არავის გამოუცხადებია მოღალატედ, ვინაიდან ის ომი რუსებმა მოიგეს! კარგით, აბა ის თუ გახსოვთ, რომ მეორე მსოფლიო ომში ფრანგები გამარჯვებულთა ბანაკში აღმოჩნდნენ?!

ახლა რაც შეეხება თქვენს „კვიმატურ" ჩანართს: — „ასე მოიქცა სტალინი"?

არა ბატონო ნოე, თქვენ რომ გგონიათ, მთლად ისეც არაა, თუ ომის დროს დალადიეს მთავრობამ მის ხალხს უღალატა, ეს საქმე ომამდე კაიხნით ადრე მოილია სტალინმა — 1921 წლის თებერვალში რუსის ჯარი შემოასია მშობელ ქვეყანას, რომელიც მისივე მასწავლებლის, ანუ პროლეტარიატის დიდი ბელადის აზრით: — „ძალიან გათამამდა!". ასე იყო, ბატონო ნოე, ზუსტად ასე, ჩემი თუ არ გჯერათ და თქვენეული გაგებით „ექსტრემისტების" არაფერი გწამთ, გაზეთები მაინც გადაშალეთ და გადაიკითხეთ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ბოლოდროინდელი სესიების მასალები.

დარწმუნებული ვარ, სტალინის მოღალატეობას თქვენ ასე უდრტვინველად ვერ შეეგუებით, მაგრამ მაინც და მაინც მე თუ ვარ ასეთი საძაგელი ცილისმწამებელი, კი ბატონო, თუნდაც ექიმ-ფსიქიატრის თანდასწრებით ვაღიარებ, რომ ოცდაერთ წელში მე ვაფრინე დეპეშა მოსკოვიდან, მე ვაუწყე წყეულ ორჯონიკიძეს: — „შეუტიე, დასტურია!" თუ გნებავთ, იმასაც გიჩურჩულებთ ყურში, ვისგან იყო ეს „დასტური"!

ასე გვაქციეს ქართველი ხალხი — „საბჭოთა ხალხად" და ვაი ჩვენს ტყავს, ხმას თუ ავიმაღლებდით, „ავტონომიური ბომბებით" დაგვინალმეს მიწა-წყალი... იმაზე, თუ როგორ ზედიზედ იფეთქეს ამ ბომბებმა, თავს აღარ შეგაწყენთ, ქართველები ვართ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ თუ არ დავინდეთ ერთმანეთი, როდიონოვი დაგვინდობს და თავებს არ დაგვიპობს სასანგრე ნიჩბით?!

მართლა, როდიონოვზე გამახსენდა, ნოე ბატონო, შარშანდელ 9 აპრილზე რა აზრის ბრძანდებით? იქნება კიდევაც ვიყავით ღირსნი, ჰა?! ყოველ შემთხვევაში ამხ. კატუსევი ასე ფიქრობს, „აგრესიულად მორჩილი უმრავლესობა" ასე ფიქრობს, ძლევამოსილი სარდალი როდიონოვი ასე ფიქრობს...

ვინ დამაჯერებს, რომ თქვენც ასევე ფიქრობთ, ბატონო ნოე, მაგრამ იქნებ ჯერ ვერც კი მოიცალეთ და არ გიცდიათ გარკვევა — ვინ იყვნენ ჩვენი ფერიებივით გოგონების მკვლელები, ვინ შემოგვისია ისინი და რატომ?!

ის ცოფიანი ჯარისკაცები, შენ ხარ ჩემი ბატონი, სწორედ იმათი ნაშიერები იყვნენ, რომლებიც სტალინმა და ორჯონიკიძემ შემოაჭირითეს თავიანთ ბედკრულ სამშობლოში, რათა „გაეწითლებინათ" იგი, თანაც ისეთი სისასტიკით, გაწითლების უნარს მოკლებული ჯალათიც რომ არ იკადრებს...

ვინ შემოგვისია ავლანეთში „ინტერნაციონალურ ვალმოხდილი", სისხლზე დაგეშილი აფთრები და რატომ?! ისევ იმან, ბატონო ნოე, ვინც თავისუფლება წაგვართვა, ეროვნული სული კინაღამ ამოგვართვა და რასაკვირველია, გულზე არ ეფონება: — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!".

იქნებ თქვენ გჯერათ ფერლანული ხენდროს ანეკდოტი, მაგრამ მე მომკალით და, ვერ დავიჯერებ, ვერც იმას დავიჯერებ, რომ სადმე „თურქი-მესხები" არსებობენ, ვერც იმას, რომ სამაჩაბლო საქართველო არაა და რა ვიცი, ბევრ რამეს ვერ დავიჯერებ...

ვგრძნობ, ბატონო ნოე, თქვენ ღრმად გარკვეული ბრძანდებით „მარქსიზმ-ლენინიზმში" და „ერთა თვითგამორკვევის" ლენინურ პრინციპს მომაგებებთ, მაგრამ ასეთი „თვითგამორკვევა" დაახლოებით იმას ჰგავს, ქართველი, ოსი, აფხაზი და ასე შემდეგ, რომ დასხდნენ და არკვიონ — „როგორ მიდის ჩვენი საქმე, ბიჭებო, უკვე მთლიანად გავრუსდით, თუ ჯერ კიდევ გვახსოვს, ვისი შთამომავლები ვართო?!"

ერთი სიტყვით, ბატონო ნოე, უკვე თითისიგრძე ბალღმაც კი იცის, რომ „ბოლშევიკური სოციალიზმის" მოდელი ჩვენთან ექსპორტის სახით შემოვიდა და ამას საქართველოს დამოუკიდებლობა შეეწირა, „მოგვერია დათვი" და კარგახანს ვუძახეთ „ბაბაია", მაგრამ მთლად სტომაქში ჩანთქმა რომ მოგვინდომა, ახლა რაღა ვქნათ?! შე კაი კაცო, აგერ სულ ახლახანს ნამიბიაც კი გახდა დამოუკიდებელი და ჩვენ ნუთუ ზანგებზე უფრო ზანგები ვართ?!

იმ შავბნელ დროს, ბატონო ნოე (მეც რა ამოვიჩემე ეს „ბატონო!" იქნება არც გსიამოვნებთ „ბატონობა" და თქვენებურად „ამხანაგო" გირჩევნიათ?!) დიახ, ამხ. ნოე, ჩვენ ისეთ „ძმურ კავშირში" გვიკრეს თავი, სადაც ზნეობაზე მუდამ ძალმომრეობა იმარჯვებდა და იმარჯვებს, თორემ სრული მორალური და იურიდიული უფლება გვაქვს, რაც ძალით შემოგვიტანეს იმის უკან გატანა მოვითხოვოთ... როცა ამას ვამბობ, უნებლიეთ ყურებში მიწივის სასოწარკვეთილი ხმა ერთი მშვენიერი ქართული ფილმიდან, ბატონი ვასოს ხმა: — „გაიტანეთ გრელანდია, გა-ი-ტანეთ!" არადა ვინაა გამტანი: — „მურვანიძე ხელს არ აწერს: ჯიუტობს მურვანიძე, (როგორ იწვევს მურვან ყრუს ასოციაციას?) ბოდიშით და, სულაც ფეხებზე კიდია იმას — თავში დაგეცემა ეს „გრელანდია" თუ კისერს მოგატეხნებს...

ყოველივე ეს რომ შეიგნოთ, ამხ. ნოე, კიდევ ერთი მშვენიერი ქართული ფილმის გმირივით,

გაგრძელება მე-10 გვ.

## სამი საჭირბოროტო შეკითხვა

### რა მოელით პარტიულ მწერლებს?

როგორც ცნობილი გახდა, საქართველოს მწერალთა კავშირში გაუქმდა პარტიული ორგანიზაცია და სახალხო ფრონტი.

მისასალმებელი ფაქტია.

მწერლები უნდა განთავისუფლდნენ ყოველგვარი იდეოლოგიური დაწოლისაგან. ამ კეთილშობილური მიზნის მიუხედავად ბევრი ქართველი მწერალი ჯერ კიდევ ვერ შეელია სკკპ მანდატს.

საკითხავია, რა მოელით ამ პარტიულ მწერლებს?

საქართველოს მწერალთა კავშირის ამჟამინდელი ინტერესებიდან გამომდინარე, პარტიულმა მწერლებმა უნდა დატოვონ (ან დაატოვებინონ) საქართველოს მწერალთა კავშირი, რათა ნებით ან უნებლიეთ არ გაავრცელონ ამ დაწესებულებაში თავიანთი პარტიების იდეოლოგია.

დანარჩენ შემთხვევაში, პარტიული თუ ფრონტული უჯრედების გაუქმება მხოლოდ კავშირის არსებობის შესანარჩუნებლად მორიგი თვალთმაქცური ნაბიჯი იქნება.

### ვინ არის იმპერატორი?

ამერიკაში, ინგლისში, რუსეთში და თვით საქართველოშიც ბევრი თვლის, რომ საქართველო პატარა იმპერიაა, იულიუს კეისარს, ნერონს, ნაპოლეონს ჰქონდათ იმპერიები და იწოდებოდნენ იმპერატორებად. სსრკ-ც იმპერია იყო ყოველთვის, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებამდე ამას ხმამაღლა ვერავინ ამბობდა და ფაქტიური იმპერატორებიც თავიანთ თავს იმპერატორებად ვერ აცხადებდნენ. დღეს როგორც იქნა ხმამაღლა ითქვა, რომ სსრკ არის იგივე რუსეთის იმპერია, ოღონდ იმპერატორის დასახელებისაგან თავს მაინც იკავებენ. თუ იმპერია არსებობს, მას ალბათ უნდა ჰყავდეს თავისი იმპერატორი.

სსრკ-ს იმპერატორი ალბათ გორბაჩოვია. ჩვენი თხოვნაა: იმათ, ვინც კი ამერიკაში, ინგლისში, რუსეთში, საქრთველოში თუ სხვაგან სცნო და აღიარა საქართველოს იმპერია, ალბათ ისიც ეცოდინებ ვინ არის (ან ვინ იქნება) საქართველოს იმპერატორი. ვთხოვთ, დაგვისახელონ იგი!

### გონიერება თუ ღალატი?

როგორც ცნობილია, ჩატარდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამდღიანი საგანგებო კონფერენცია.

კონფერენციამ ბოიკოტი გამოუცხადა 1990 წლის 25 მარტის არჩევნებს.

არსებულმა მთავრობამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და გადაიტანა ეს არჩევნები.

აღნიშნულ საგანგებო კონფერენციაზე არჩეულ იქნა ეროვნული ფორუმი. ამ კონფერენციის გადაწყვეტილებით ეროვნულმა ფორუმმა უნდა უზრუნველყოს გარდამავალი კოალიციური, ოპოზიციური ხელისუფლების არჩევა საყოველთაო, პირდაპირი ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

სახალხო დეპუტატთა ყრილობამ გადაწყვიტა სკკპ-ის გარდა დაუშვას სოცილიზმის ერთგული სხვა პარტიებიც (არ დაიშვებიან ისეთი პარტიები, რომლებიც ძირს გამოუთხრიან სოციალიზმს). ბუნებრივია, ეს „დაშვებული" პარტიები იმპერიის მთლიანობას სერიოზულ ზიანს ვერ მიაყენებენ...

ალბათ სულ მალე შემოგვთავაზებენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესი ორგანოს ახალ, ე. წ. მრავალპარტიულ არჩევნებს.

ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება გონიერება იქნება თუ ეროვნული ფორუმის ღალატი?

**რამაზ ბერეკაშვილი**

## ოჰ, ალუბლებო... იაპონიის!

კიდევ ბაღდადის ზეცა და ბროდვეის ლამპიონებია მოხმობილი იმ ლექსში. ვინც წითელ კონტურებში ვიყავით მომწყვდეული მსგავს ლექსებში და ფილმებში ვუთვალთვალებდით ამერიკულ ცათამბჯენებს, სტრიტებს თუ ბრუკლინის ხიდს. მაგრამ არც ამერიკა და არც იაპონია ამ წუთში არაფერ შუაშია. ეს ყველაფერი იმიტომ გამახსენდა, რომ მინდოდა რაღაც მეთქვა ჩვენს სავარდო და სამაისოდ წოდებული ქალაქის გარეუბნების შესახებ. სადაც პირქუში მრავალსართულიანი სახლების გარშემო მიდამო სამაგალითოდაა მოტიტვლებული. იგი კოღოებისა და ბაყაყების საბუდარად ქცეულა და თუ ბაყაყებს არ ჩავთვლით, მწვანე ფერი სანატრელი გამხდარა აქ მცხოვრებთათვის.

მეგობარი მიყვებოდა ამასწინათ, მის ნაცნობ ვაჟს გერმანიაში გაუგრძელებია სწავლა, იქედან საცოლე წამოჰყოლია. ბინა ამ ვაჟს ნიკეას ქუჩაზე ჰქონია მიღებული. ეზოში, უფრო სწორად ბინის წინმდებარე ტერიტორიაზე ქალი შეშინებული იხედებოდა თურმე აქეთ-იქით. ბინაში რომ შესულან, ქალს შეწუხებულს უკითხია, აქ ხალხი ნებაყოფლობით ცხოვრობს თუ რაიმე სასჯელის მოხდას აიძულებთო.

რა გაუკვირდა—გავიფიქრე მაშინ — საკონცენტრაციო ბანაკები არ უნახავს? თუ არ ელოდა საბჭოური მზით განათებულ საქართველოში მსგავს ბანაკებს. ერთი სიტყვით ჩვენი გერმანელი სარძლო სოფელში წაუყვანია მასპინძელს, სოფელი სოფელია, რაც არ უნდა იყოს.

როგორც გავიგე, გერმანიის ქალაქებში ბევრია ისეთი ქუჩები, სადაც ჩარიგებულია ვაშლის და მსხლის ხეები. ჩვენ კი რად გვინდა ვაშლი და მსხალი. სულო და გულო, რა სჯობია ჭადრების და ალვების ყვავილობას. თუმცა გასაკვირი არც ეს არის. ეპოქის სულისკვეთება სიმბოლურად გამჟღავნდა ამ უნაყოფო, ცისკენ მათხოვარივით ვედრებით მაცქერალ ხეებში. გახსოვთ ალბათ ლექსი „ჩვენი პარტია და ლენინი ტყუპნი არიან, ისტორიაში ვინ იქნება უფრო ჩენილი. ვამბობთ ლენინი და ვგულისხმობთ ჩვენი პარტია, ვამბობთ პარტია და ვგულისხმობთ დიდი ლენინი!". ალვის ხეს რომ მიხსენებს ვინმე კომუნიზმი მახსენდება და კომუნიზმს თუ ახსენებენ-ალვის ხე. და ალუბლების თქმისას რაღა იაპონია უნდა გაგვახსენდეს ვითომ. ერთ-ერთი ყველაზე ქართული ქალაქის მიწა და მზე დაიშურებს ტენს და სითბოს გინდ ალუბლის, გინდ ნებისმიერი ხეხილის ნერგისათვის? თუ რაკი ჩვენს ყვითელ ბავშვებს ბაზარში გოგირდნახრჩოლები ხილი ეგულებათ, დავტკბეთ ალვების და ჭადრების მსხმოიარობით.

რაც არ უნდა ველოდოთ ახლა აღარავინ დაგვიძახებს ლენინურ შაბათობაზე იდეური ხეების დასარგავად. ამიტომ რაღაც უნდა ვილონოთ,ვისაც გული შეგვტკივა ამ გაუერანებულ შიგა და გარეუბნებზე.

**ცირა ყურაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მოზურთალსა“... მაყურებელი!

გაიხსნა საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში.

თბილისის „იბერიის“ სტადიონის ხალხით გადაჭედილმა ტრიბუნებმა ნათლად თუ დაგვანახა, დედაქალაქში ქართული ფეხბურთის, მისი შემდგომი ბედით დიდი დაინტერესება, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით (მცირე გამონაკლისის გარდა) მრავალი ქალაქისა და რაიონის ფეხბურთისადმი გულშემატკივრობაზე, ნათქვამია: ხხვამ სხვისი იტიროსო (სხვად თუ კი ჩაითვლება ლანჩხუთის, სამტრედიის, ოზურგეთის, ბათუმის, ზუგდიდის და ა. შ. გუნდები?!), სხვა ქალაქისა თუ რაიონის ცარიელი, გინდა სავსე ტრიბუნები ჩვენთვის, ქუთაისელებისათვის რა შეღავათია — თერთმეტი ათასი მაყურებელი ორას ორმოცდაათიათას მაცხოვრებელზე, მაშინ, როცა ორი-სამი ათასკაციან ქელეხ-ქორწილებს არა ერთხელ შევსწრებივართ... არადა, ისიც ხომ ცნობილია, ერთ-ერთ ჩვენს სტადიონზე სამი ათასმა კაცმა ძლივს მოიყარა თავი, თანაც რომელ რაიონში — ფეხბურთისადმი მათ ფანატიკურ სიყვარულს მაგალითად რომ გვისახავდა მთელი ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია, რომ აღარაფერი ვთქვათ საგანგებოდ გადაღებულ კინო-ფილმებზე...

„მობურთალსა მოედანი“-ო, ბრძანებს შოთა რუსთაველი. ჩვენს მობურთალებს პირველად ეღირსათ, პირველად დაეთმოთ ერთდროულად თვრამეტი მოედანი; ჩვენს მაყურებელს კი — დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის თვრამეტი სტადიონის შევსების სიმწრით მოპოვებული უფლება...

მონაპოვარს დაცვა, მოვლა და განმტკიცება სჭირდება; ზოლო ვინ გააკეთებს ამ საქმეს თუ არა ჩვენ — ხალხი, მიმსწრაფი თავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ, ეროვნული თვითმყოფობისაკენ?!

ფეხბურთი ქართველისათვის მხოლოდ ბურთის გორება რომ არ არის, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მით უმეტეს ახლა, ამ გახურებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ეტაპზე...

მაყურებლის სიმრავლე ზრდის ფეხბურთელის ოსტატობას, ამაღლებს მატჩების ხარისხს... მაყურებლის სიმრავლე ამშვენიერებს ყოველგვარ ჩემპიონატს, მით უფრო უხდება და მოუხდება კიდევაც იგი ჩვენს დამოუკიდებელ ფეხბურთში პირველ ეროვნულ ასპარეზობას...

აბა და ჰე, ძმებო, ნუ გავახარებთ მტერს, ნუ გავაცივებთ ჩვენი სტადიონების ტრიბუნებს!..

# SOS!

6 აპრილს ქ. მაიაკოვსკში, რუსთაველის ქ. № 18-ში გამონთავისუფლებულ სამოთახიანი ბინის კართან შორენა ხარაბაძემ გამოაცხადა შიმშილობა. იგი თავის რვა დედმამიშვილთან ერთად, მეზობელი სახლის ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს, 1982 წლიდან საცხოვრებელი ბინით ურიგოდ დასაკმაყოფილებელ მოქალაქეთა სიაშია, ჰყავს მეორე ჯგუფის ინვალიდი ძმა და ავადმყოფი მშობლები.

გ. ლაბაძე,

რუსთველის საზოგადოების მაიაკოვსკის განყოფილების თავ-რე

# ბრძანდებოდეთ, ბატონო, ბრძანდებოდეთ!

(დასასრული)

ქვევრში არ უნდა გამოიმწყვდიოთ თავი, თორემ სამჭკუაშვილისა არ იყოს, მაქედან გამოსვლა თქვენ არ გინდათ და მე კიდევ ქრისტე არ ვარ, სასწაული რომ მოვახდინო!

დიდი-დიდი გაკვირვებით გკითხოთ: — „როგორ მოხვდი მანდა?!“.

ერიჰაა, ეს რა აღმოვაჩინე თქვენს ნაწერში ამხანაგო და პატივცემულო ნოე, ამას კი ნაღდად არ ველოდი: — „აბობოქრებულ ოკეანეში ძლიერი შტორმისა და ქარიშხლისაგან აფრებდაფლეთილი ხომალდივით ტორტმანებს და იძირება დღეს, ერთ დროს ძლიერი საბჭოთა ქვეყანა. ამ დროს მივატოვოთ ხომალდი და გავწიროთ იგი ჩასაძირავად?!“

ბოლშევიკი კი ბრძანდები, მაგრამ კარგი რა, შე დალოცვილო, დავიჯერო, მართლა სულ არ გწამს ღმერთი?! თუ ეს „ხომალდი“ მართლა ჩასაძირადაა განწირული (როგორც თქვენ ბრძანებთ) მეზღვაურთა კანონის თანახმად, კაპიტანმა კეთილი უნდა ინებოს და ეკიპაჟის გადარჩენისათვის უნდა იზრუნოს, თუნდაც იმის ფასად, რომ ხომალდთან ერთად თვითონაც ჩაიძიროს, ჰოდა რახან ასეა, მართლა დამდგარა ამ უზარმაზარი, ატორტმანებული ხომალდიდან ჩვენი ჩამოსვლის დრო, რადგან ქართველი ერისთვის კაპიტნობა კი არა, მიჩმანობაც არ უბოძებია არავის!

თქვენს ქადაგებას რომ გავყვეთ, ამხ. ნოე, უნდა მოვუხმოთ ძველი თაობის ადამიანებს, კომკავშირის, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებს, უნდა ვთქვათ სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, რომ... არა, რაც მართალია, მართალია, გამახარა თქვენმა გულწრფელმა აღსარებამ: — „ბოლშევიკებს არასოდეს გადაუხვევიათ მარქსისა და ენგელსის თეორიისაგან, პარტიას შემუშავებული ჰქონდა რევოლუციის გამარჯვების ლენინური პროგრამა და გეგმაზომიერად განახორციელა ის“.

ღმერთო დიდებულო, ამაზე დიდი სასწაული რაღა გინდა: — მას შემდეგ, რაც ხელმწიფე-იმპერატორი, ნიკოლოზი ბრიგეს ძირს, თურმე პარტია გეგმაზომიერად ანხორციელებდა მასობრივი ტერორის, კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი დიქტატურის, საზოგადოების ზნეობრივი გარყვნის ნათელ პროგრამას, ამაშია თურმე ბოლშევიკების მოღვაწეობის მთელი სიდიადე! ამას ჰქვია თურმე, რევოლუციის გამარჯვების ლენინური გზა!

საქართველო და ქართველი ხალხი ამ გზაზე ველარ ივლის, ამხ. ნოე, აი ესაა ჩვენებურად: — „სიმართლე და მხოლოდ სიმართლე!“.

თქვენს ნაშრომში იმდენი სადაო და ერთმანეთის გამომრიცხავი აზრებია, ძალიან შორს წაგვიყვანდა მათზე მსჯელობა, მაგრამ კიდევ ზოგი რამ რომ არ გითხრათ, საკუთარ გულს შემოვასკდები ალბათ, აი თუნდაც ეს: — „თეთრ სახლში 41 პრეზიდენტმა დატოვა სავარძელი, მაგრამ წყევლა-კრულვით და ლანძღვა-გინებით ისინი არავის შეურაცხყვია. ჩვენთან ცენტრალური კომიტეტის არცერთი მდივანი არ წასულა გაულანძღავი. ყოველი ახალი, ძველის ლანძღვით იწყებს მოღვაწეობას“.

მე არ დაგიწყებთ იმის მტკიცებას, იმ 41 პრეზიდენტიდან, რამდენს ტყვია აჭედეს შუბლში და რამდენი გადააბრძანეს სავარძლიდან, მაგრამ თქვენც ვერაფრით ვერ დამიმტკიცებთ, რომ ყველა ჭკვიანი მაინც და მაინც იქ დაიბადა და ყველა უჭკუო მაინც და მაინც აქ... როგორც გავს, სულ სხვა რაღაცაშია საქმე და სწორედ ის „სულ სხვა რაღაცაა“, გასარკვევი...

დავამთავროთ პატ. ნოე, თუ?!

ამხანაგი ბრძანდებით! (კინაღამ კიდევ ბატონო წამომცდა!) მართალია, თავიდან დაგპირდით, არ ვაპირებ წყლის ნაყვას მეთქი, მაგრამ ეტყობა, ვერ შევასრულე პირობა, ასე არ არის?! თქვენ ისეთი გადაჭიჭინებით აცხადებთ: „არ გავალ პარტიიდან და რაც შემეძლება ვიბრძოლებ საზოგადოებრივი საკუთრების დასაცავად...“ სხვა გზა არაა, უნდა დაგიჯეროთ, უნდა დაგამშვიდოთ, რომ არავინ არ გაიძულებთ — გინდა თუ არა, გადიო... ბრძანდებოდით, ბატონო, ბრძანდებოდეთ! „ბაბილონის გოდოლის“ ამშენებელი თქვენ არ ხართ და თუ გნებავთ, კიდობანი ააშენეთ თქვენი ბიბლიური სეხნიის მსგავსად, რა იცით, იქნებ თქვენ დაგიწესათ განგებამ გადაარჩინოთ იდეა და ნულარ აყოვნებთ, მერწმუნეთ, დიდად დაგიმადლებთ შთამომავლობა.

გენო შარაბიძე

# ერთი სახელდრით...

გულწრფელად ვულოცავთ რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას დროული და საინტერესო გაზეთის გამოცემას. როგორც ცნობილია გამოვიდა „მოწამეთას“ პირველი ნომერი.

ერთ-ერთი პუბლიკაციიდან („ერთი მატარებლით“) შევიტყვე, რომ მწერალი რამაზ ბერეკაშვილი დასდგომია ქომაგად ზვიად გამსახურდიას და ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

რაში გვდებს ბრალს ოპონენტი?

მისი სიტყვებით ჩვენ ეროვნული მოძრაობის აღიარებული ლიდერი ზვიად გამსახურდია ნეობოლშევიკად გამოვაცხადეთ, ამას მოჰყვება მახვილგონივრული ანეკდოტი საბჭოთა ტიქნიკით თავბრუდახვეულ კაცზე და ბოლოს შეგონება: ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, მისი კეთილი სურვილების მიუხედავად, კომუნისტებს უწყობს ფეხს და მათთან ერთად მიჩიქჩიქებს ერთი მატარებლით.

რა გაეწყობა!

ღმერთია მოწამე იოტისოდენა სურვილიც არა გვაქვს რამაზ ბერეკაშვილთან კამათში ჩაბმისა, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზემოთ ძალა არაა.

იმაშიც დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს ოპონენტს, რომლის პოლიტიკურ განათლებას მეტად კარგად ვიცნობთ, ვერაფერში დავეთანხმებით, მაგრამ ორიენტაციას მკითხველზე ვიღებთ.

აღარ შევუდგებით ამის გამოკვლევას, თუ რატომ არის საქართველო დაბალი პოლიტიკური კულტურის ქვეყანა. ჩვენ ამ ფაქტის, როგორც სამწუხარო რეალობის კონსტანტირებით შემოვიფარგლებით. ხანგრძლივი კოლონიური უღლისაგან თავდაღწეული ქვეყანა გარკვეულ გარდამავალ პერიოდში უკონტროლო, ეიფორიულ მდგომარეობაში იმყოფება. ეს მტკივნეული პროცესი მით უფრო დიდხანს გრძელდება, რაც უფრო დაბალია ზემოთხსენებული კულტურის დონე. ამაში ისტორიის გამოცდილება გვარწმუნებს. როცა მმართველი პარტიები დაამტკიცებენ სიცოცხლისუნარიანობას, როცა გამოიკვეთა ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის სტრუქტურა, შეიძლება ითქვას, რომ კრიზისი დაძლეულია. მანამ კი არსებობს დესტაბილიზაციის, თვით სამოქალაქო ომის საფრთხეც კი. ვინც ამ პერსპექტივას არ ითვალისწინებს, პოლიტიკურ უპასუხისმგებლობას იჩენს.

როგორც აღვნიშნეთ, მომავალმა მმართველმა პირებმა უნდა დაადასტურონ საკუთარი სიცოცხლისუნარიანობა. ეს კი პრაქტიკულად ხელისუფლებისათვის ბრძოლას ნიშნავს. თუ ჩვენ დღესვე უმკაცრესად არ დავადგინეთ და დავამკვიდრეთ ის ფორმები და მეთოდები, რომლიც იძლევა გარანტიას მშვიდობიანი და პატიოსანი პაექრობისა, საქართველოს მძიმე მომავალი ელის. ამ საკითხს სრულიად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ერთობ დაბალი პოლიტიკური კულტურის ქვეყანაში ვცხოვრობთ და აქ უფრო მოსალოდნელი, ვიდრე კარგი.

თუ ზემოთთქმულის გათვალისწინებით წავიკითხავთ ბატონ ზვიად გამსახურდიას წერილს („ქართული ფილმი, 15 ნოემბერი 1989 წ.) ჩვენი შეშფოთებაც გასაგები გახდება. ზვიად გამსახურდია იმ დონის ავტორიტეტია ეროვნულ მოძრაობაში, რომლის საქციელსაც მაგალითის ძალა აქვს. თუ გავითვალისწინებთ, რა ცხოვრებაც აქვთ გავლილი ჩვენს პოლიტიკურ ლიდერებს, მათი გაღიზიანება გაოცებას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ, ეროვნული მოძრაობის ინტერესებიდან გამომდინარე, გავუფრთხილდეთ მათ ავტორიტეტს. ჩვენი მკვახე შეძახილი სწორედ ამ მიზანს ისახავდა და არა გამსახურდიას პიროვნებისათვის ჩრდილის მიყენებას.

მაგრამ დავუბრუნდეთ რამაზ ბერეკაშვილს.

ბატონო რამაზ! თქვენი რეპლიკა საკითხისადმი სერიოზულ, გულმტკივნეულ დამოკიდებულებას მოკლებულია და ხითხითის ინტონაციებს შეიცავს. ეს დამახასიათებელია მათთვის, ვისთვისაც პოლიტიკა თავშესაქცევად არსებობს.

იიცი, ამაოდ დავშვრები, მაგრამ სინდისი მავალებს აგიხსნათ თქვენი „გამოხტომის“ მექანიზმი.

ჩვენ ყველანი საბჭოთა ადამიანები ვართ, დავიბადეთ და აღვიზარდეთ ავადმყოფურ საბჭოთა გარემოში. დღიდან გაჩენისა გვაჩიჩინებენ და გვაჩრიან კერპებს. ეს პროპაგანდისტული შხამი ფსიქიკაში არაცნობიერად შრევდება და იწვევს კერპის მოთხოვნილებას. ყველა ვერ ახერხებს ამ ავადმყოფობის გაცნობიერებას და მისგან განთავისუფლებას. ადამიანმა უკუაგდო ძველი კერპი და ეძებს სამაგიეროს, სწორედ რომ ეძებს, რადგან ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თქვენი კერპი გია ჭანტურია იყო. რა გაეწყობა, სანჩო პანსა ყოველთვის მზად იყო დაეძახა გაუმარჯოს გამარჯვებულსო.

დასასრულ მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო ჩემი მილოცვა და რჩევაც დავურთო: თუ კვლავაც დააპიროთ რამაზ ბერეკაშვილის პოლიტიკური რეპლიკებისა და მიმოხილვების დაბეჭდვა, გააკეთეთ ეს რუბრიკით: სიცილი ჯანმრთელობაა.

მერაბ გვაზავა

# სატუსაღო აკაკის ქუჩაზე



აკაკის ქუჩაზე ანუ ა. წერეთლის სამოცდაცხრამეტში, კაცმა რომ თქვას, შუაგულ ქალაქში, მდებარეობს, უფრო თანამედროვე ენით — ფუნქციონირებს ერთი აშკარად მშვენიერი დაწესებულება — თუ არ ვცდებით, კავშირგამბმულობის კვანძის საავტომობილო სადგომი, მგონი ავტოპარკსაც ეძახიან, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, ავტომობილების სადგომ-პარკი, უარეს შემთხვევაში, ქალაქის განაკიდესაც შეიძლება მოაწყო დაინტერესებულმა ორგანიზაციამ, ერთი კია, რაღა დასაკარგავში, აგერ ახლოში, ცხვირწინ, შუაგულ ბალახვანში არ ჯობია; თანაც დიდი მგოსნის სახელობის ქუჩაზე — აკაკის ქუჩა! იქნებ მართლაც ასე უკეთესია: „აკაკის ქუჩა!“, „გალაქტიონის ქუჩა!“ და არა ა. წერეთლისა და გ. ტაბიძისა, თუმცა არც ეს არის მთავარი...

რა ვქნა, არ მინდა, ავდგე და პირდაპირ დავახეთქო, არ მსურს მეთქი, ხმამაღლა რომ ვთქვა, იმასაც ვფიქრობ: მთელი ქვეყანა ალმა-დალმა დადის ამ ჩვენი სულმნათი მგოსნის ქუჩაზე და რაღა მე დავინახე, რაღა მე შევამჩნიე მეთქი ეს ამბავი... თვალებში რომ ამოვისვი ორჯერ-სამჯერ ხელი და სურათი მაინც იგივე დარჩა, კვლავაც თავი გავიმტყუვნე... რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე შევიამხანაგე და ფოტოკორესპონდენტიც ვიახლეთ. არც იმათ დაუჯერეს თავიანთ თვალებს, მაგრამ ტექნიკამ თავისი ქნა, აპარატმა დაგვარწმუნა, რომ „თვალისჩინი“ სამთავეს ჯერ კიდევ სათანადო დონეზე გვქონია ... თქვენც. საკუთარ თვალებზე რომ ეჭვი არ შეგეპაროთ, საყვარელო მკითხველო, ცოტა აქეთ მოიწით, ამ სურათს დახედეთ, შემდეგ კი ნაწერს მიადევნეთ მზერა:

ა. წერეთლის სამოცდაცხრამეტში მდებარე ავტომობილების სადგომს, პარკს თუ გარაჟს, ვინ იცის, რამდენი ათეული წელიწადია, დაპატიმრებული ჰყავს სრულიად უდანაშაულო ორი ვაუკაცი ხე. სახურავების უდაბნოდან, ასფალტისა და ბეტონის მარწუხებიდან ამოსხლეტილი, ისინი ტანჯულის დუმილით, ხელ-ტოტაშვერილი შესცქერიან ცას — მაგრამ მარტო ღმერთმა რა უნდა ქნას. როცა მიწაზე კაცი არა სჩანს!?...

იცით კი რა ხეებია ეს ხეები?! თავის სამშობლოში „ოქროს ხეს“ ეძახიან, იმიტომ რომ დაწყებული მისი წიწვიდან თესლით დამთავრებული, ადამიანისათვის მეტად სასარგებლო და გამოსაყენებელია. ჩვენში კი მას „ზღვისპირა ფიჭვს“ ეძახიან, მისი სამშობლო ხმელთაშუა ზღვის აუზია...

ბოლოს და ბოლოს, გავტყდეთ და გავაცხადოთ მაინც, რამდენი წლის პატიმრობა მიესაჯა ამ საბრალო უცხოელ ხეებს, ან რა ისეთი ცოდვა აძევთ, ამ ჩვენი დიდი მგოსნის საიუბილეო წელს მაინც რომ არ შეეხოთ ამინისტია?!.

თავისუფლება ტუსაღ ხეებს!

აკაკის ქუჩაზე ტუსაღად მყოფ ხეებს თავისუფლება!

გაუმარჯოს თავისუფლებას!

ა. ყ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სისხლის წვიმები

**1923 წლის** 18 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა ცნობა „საქართველოს საგანგებო კომისიისაგან", სადაც ოთხმოცდათორმეტი სიკვდილით დასჯილი, მათ შორის, რამდენიმე არაქართველი, და ვაჟა-ფშაველას ვაჟი — ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილია მოხსენებული. ვბეჭდავთ ამ ცნობას უცვლელად:

„კონტრრევოლუციასთან, ბანდიტიზმთან, საბოტაჟთან და თანამდებობით ბოროტმოქმედებასთან მებრძოლი საქართველოს საგანგებო კომისია აცხადებს საქართველოს მშრომელი მასების საყურადღებოდ შემდეგს:

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არა ერთხელ მოუწოდებდა ბანდიტებს თავი დაენებებიათ ბოროტმოქმედებათათვის, დაბრუნებოდნენ მშვიდობიან შრომით ცხოვრებას, ჰპირდებოდა რა ამისათვის სრულ პატიებას და წარსული მათი საქმიანობისათვის სასჯელისაგან განთავისუფლებას, ბანდიტიზმს ბოლო არ მოეღო. გამოიხატა რა უკანასკნელ დროს საბჭოთა ხელისუფლების მუშაკთა ხშირი და ვერაგული მკვლელობებით, ა. წ. 10 თებერვალს ბანდიტური ბოროტმოქმედების მსხვერპლი გახდა ოზურგეთის მახლობლად მშრომელი ხალხის შვილები: ამხ. **ობოლაძე** (ქართული სამოსწავლო-საკადრო ათასეულის სამხედრო კომისარი), **სანიკიძე** (ამავე ათასეულის უფროსი) და **ჩუბინაშვილი** (გუნდის უფროსი).

საქართველოს საგანგებო კომისიამ თავის ა. წ. 13-14 თებერვლის სხდომაზე გაუწია რა ანგარიში ბანდიტების შეუჩერებელ ტერორისტულ მოქმედებას, მათი მუხანათური საქმიანობისათვის ბოლოს მოღების მიზნით, დაადგინა: ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს, როგორც მრავალჯერ აღრიცხულებს და ბანდიტიზმისათვის, მკვლელობებისათვის, ძალადობისათვის, დაწვისათვის და ტყუილისათვის და სხვ. გასამართლებულებს, მიესაჯოთ უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.

ვაქვეყნებთ დახვრეტილთა სიას:

**1. სლეპიანი ვენიამინ სამუილის ძე, 2. ფირალოვი ვასილ პეტრეს ძე, 3. გაგნიძე სიმონ ვასილის ძე, 4. ლამხაძე გიგო სიმონის ძე, 5 გელენიძე შალვა ბესარიონის ძე, 6. შველიძე ვლადიმერი იაკობის ძე, 7. დურსუნ ჰარიფ ოღლი, 8. რეზიდ თედი ოღლი, 9. ცინცაძე მელიქსეტ სოლომონის ძე, 10. მილორავა გიორგი ფილიპეს ძე, 11. ოლიაშვილი თედო გიოს ძე, 12. ალი ახმედ ოღლი, 13. სოიუნ ოღლი, იორდანკული, 14. პირ მამედ ოღლი მამედ 15. ჩიქოვანი ლევანი (იოსები) დავითის ძე, იგივე ჩიკორა, 16. ზედგინიძე გიორგი დიმიტრის ძე, 7. ჭეიშვილი გრიგოლი სილიბისტროს ძე, 18. ლეჟავა აკაკი, 19. ჩაჩავა ალექსანდრე, 20. არჯევანიძე ამბაკო, 21. სერებრიაკოვი გრიგორი მიხეილის ძე, 22. მურატ სადიზადე, 23. ადამია ზაქარია, 24. შეიკონი ივანე. 25. ეფენდევა ტეტრადი სამელ ოღლი, 26. სარქისოვი სურენ სარქისის ძე, 27. ტაგიევი მამედ რიზა. 28. რაფიევი აბას გაჯი მამედ გურიენ ოღლი. 29. მელიქალახვედროვი არმენაკი ალექსანდრეს ძე, 30. ვარდანიან არტაშე ოგანესის ძე, 31. ჯანუქვაძე ბიქტორ პავლეს ძე, 32. რუხაძე პლატონი ტატიოსის ძე, 33. სალარაძე ლომი დიმიტრის ძე, 34. კიზირია სამსონ გიორგის ძე, 35. ნაჭყებია ბიქტორ. 36. ზადანია რაჟდენ, 37. სოლოკაშვილი ბაგრატ გრიგორის ძე. 38. იმხანაშვილი ივანე დავითის ძე. 39. ზაუტაშვილი ივანე ესტატეს ძე. 40. გოზალიშვილი გიორგი გაბრიელის ძე, 41. ჭავჭავაძე გიორგი ალექსანდრეს ძე 42. შავერდიევი ყარამან ტალივერდის ძე. 43. გაგლოშვილი ელიოზ გაბრიელის ძე, 44. ლოსეურაშვილი ბეცინდურ მაჩხუმეს ძე 45. გუგუნავა ამირაგ, 46. ხაჟომია გრიგოლი, 47. ხაჟარია მაქსიმე, 48. საჯარია გრიგოლი გიორგის ძე. 49. ფარცხვანია ილარიონ საფრონის ძე, 50. ფარცვანია გრიგოლი იულონის ძე, 51. ტოლსტაია ალექსანდრე ივანეს ასული, 52. მკრტუმიან ლევონი ვართანის ძე, 53. ჩერიაშევი ბორის ალექსანდრეს ძე, 54. აპრილოვი ანდრო სტეფანეს ძე, 55. ჩიკაშვილი ვლადიმერ ისიდორეს ძე, 56. ლაბაძე სერგო ტატიოსის ძე, 57. თანდილაშვილი გიორგი კუჭაკოს ძე, 58. ქარცივაძე ახმედ სულეიმანის ძე, 59. იორდანიშვილი სიმონ ივანეს ძე, 60. ზვიადაძე სოლომონ არსენის ძე, 61. დავრიშ კადარ ოღლი, 62. თეიშვილი ერასტი გაიოზის ძე, 63. აკოპოვი გრიგოლი გრიგოლის ძე, 64. ახმედ მუსტაფა ოღლი, 65 ასანდი ოღლი, 66. ახალაძე იოსეფ სიმონის ძე. 67. ჯანკოტაძე გრიგოლი ტეი მარადის ძე, 68. დგელაშვილი ალექსანდრე ექვთიმეს ძე, 69. კახიაშვილი ალექსანდრე ბაგრატის ძე, 70. მესტუმრე ანტონ დავითის ძე, 71. კვირტკლეტ ოღლი იგივე რამან ოღლი, ეფულა ხუსეინის ძე, 72. რაზიკაშვილი ლევან ლუკას ძე, 73. დიდებაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე, 74. ნადირაშვილი დავით საბაილის ძე, 75. მაზიაშვილი გიო ტეტოს ძე, 75. ფირაშვილი ისაკი გიგის ძე, 77. კაპაიძე შიომათეს ძე, 78. დათუკაშვილი ფირუზ ბიძინას ძე, 79. ფილია ყარამან მაქსიმეს ძე, 80. ხუხუნაშვილი სამსონი ნიკოლოზის ძე, 81. იმნაიშვილი დავით ნიკოლოზის ძე, 82. გრძელიძე გიორგი ოტიას ძე, 83. ქინქლაძე კასიან რომანის ძე, 84. სამსონაძე შალვა ივანეს ძე, 85. გორდელაძე არსენი აფრასიონის ძე, 86. ყაჭეიშვილი ბედია ფილიპეს ძე, 87. სიხარულიძე ნიკოლოზ ივანეს ძე, 88. შარაბიძე ვლადიმერ ამბაკოს ძე, 89. თარგამაძე ილია სტეფანეს ძე, 90. ნაკაიძე ნოე სიმონის ძე, 91. თოიძე ნესტორ იზრაილის ძე, 92. ვაჩეიშვილი ბებური ბესარიონის ძე.**

განაჩენი ყველას მიმართ მოყვანილია სისრულეში.

საქართველოს საგანგებო კომისია აცხადებს რა ამას, მიმართავს მოწოდებით მშრომელ მასებს — აღმოუჩინონ მას ყოველგვარი დახმარება ბანდიტიზმის სასწრაფოდ ლიკვიდაციის საქმეში და მით საბოლოოდ მოიპოვონ მშვიდობიანი აღმშენებლობის შესაძლებლობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ნიადაგზე. ამავე დროს საქ. საგანგებო კომისია უკანასკნელად აფრთხილებს ყველა ბოროტმოქმედ ბანდიტურ ელემენტებს. რომ ყველა ის პირები, რომლებიც დაპატიმრებული არიან მძევლებად, ამგვარი მკვლელობის გამეორების შემთხვევაში ათობით იქნებიან დახვრეტილი.

**საქართველოს საგანგებო კომისიის კოლეგია, კვანტალიანი, მიჭელაძე, ბერია, პანკრატოვი, ნასარიძე, ქავთარაძე".**

კომენტარი რ. ჭეიშვილის „რკინის სახკომიდან":

„დახვრიტეს ადრე დაპატიმრებული არასაიმედო პირები. დახვრეტილთა სია გამოაქვეყნეს დახვრეტის ცნობასთან ერთად. განაჩენს ხელს აწერდნენ: საგანგებო კომისიის პრეზიდიუმის წევრები: კვანტალიანი, ბერია, მიქელაძე... 1992 წლის 10 მაისს ლომინაძე დაიტრაბახებს: „...ჩვენ სიკვდილით დავსაჯეთ 100 ბანდიტი, რამდენიმე ხნის შემდეგ დახვრეტილი იქნა მთელი სამხედრო ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ „მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის მოღვაწენი". ლომინაძე 100-ს ჩემულობს, გაზეთში 92 კაცია ბანდიტებად მოხსენიებული. პატივცემულმა ლომინაძემ ციფრი დაამრგვალა თუ გაზეთის რედაქციას გამორჩა რვა კაცი, არ ვიცით. გვარით, სახელით, მამისსახელით, გამორჩეული შრიფტით ჩამოწიკწიკებული 100 მამაკაცის სიას აკლია რვა. საძმო საფლავში მაინც თუ შეხვდათ სხვებთან ერთად ადგილი!".

* * *



**სურათზე: ვაჟა-ფშაველა** და მისი ვაჟი **ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი.**

ფოტო მოგვაწოდა მამუკა ლორთქიფანიძემ

---

## ბაღდათი, თხმელისციხე თუ...

# სალამ ალეიქუმ, ბაღდათელო!

რედაქციამ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ თემურ ამყოლაძის წერილზე „ოღონდ არა ბაღდადი" მიიღო ჟურნალისტ ბეჟან დახუნდარიძის გამოხმაურება სათაურით „სალამ ალეიქუმ, ბაღდათელო (წერილი მეგობარს)". დღეს მკითხველს ვთავაზობთ ამ ბარათის იმ ერთ მონაკვეთს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება, აქვე ვურთავთ სარედაქციო მინაწერსაც.

გაზეთ „მოწამეთაში" დაბეჭდილი თქვენი წერილის იმ ნაწილს ვიზიარებ, რომ დროამ მაიაკოვსკის რაიონის სახელის ტრადიციული მირონცხება მოითხოვა. ვიფიქრე და წერილის სხვა სათაური ვერ შევარჩიე. მოგეხსენებათ, სულმნათი ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს, რომ თურქებმა თხმელის ციხე ააგეს და მას ბაღდადი უწოდესო. დიახ! ბაღდადი უწოდეს არა დასახლებულ პუნქტს, არამედ ციხეს და აქ მნიშვნელობა არა აქვს, ბაღდათელად მოვინათლებით თუ ბაღდადელად, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ გვითხრას, აბო ტფილელი სხვა რჯულის იყო, მაგრამ ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო, რა მოხდება თუ ერთ რაიონს ოსმალების დარქმეულ სახელს დავუმკვიდრებთო. ყველას პატივს მივაგებთ, მაგრამ ქართულ რაიონს ქართული სახელი უნდა ამშვენებდეს. ამასთან თუ თქვენი წერილის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეხვედრისას ასე უნდა მოგესალმოთ — სალამ ალეიქუმ, ბაღდათელო! ზუსტად ამავე სიტყვებით მომესალმნენ სამარყანდში ყოფნის დროს. ჩემმა მეგობრებმა იციან (თქვენც იცით) მოგზაურობით ჩემი გატაცების ამბავი. ოკეანის ნაპირამდე ვარ ნამყოფი, ძაღლებშებმულ მარხილზე მჯდომს ზამთრის სუსხი მიგემია ჩუკოტკა-ანადირის მხარეში... გატაცებამ ჩამიყვანა სამარყანდშიც. თემურ-ლენგის მავზოლეუმში, ექსკურსანტების ჯგუფში მოვხვდი. იქ ერთ სასულიერო პირთან მომიხდა დავა. ვუმტკიცებდი, თემურ-ლენგი უპირველეს ყოვლისა დიდი დამპყრობელი და სისხლისმსმელი პიროვნება იყო მეთქი, არ ვიცი, დამიჯერა თუ არა, მაგრამ ჩემი სადაურობით კი დაინტერესდა. რომ გაიგო, ბაღდათიდან ვიყავი, გაუხარდა, ალაჰის ქვეყნის მკვიდრი ყოფილხარ, თავიდანვე ასე გეთქვაო. არსებობს კიდევ სხვა ბაღდათი, წმინდად ქართული, ქრისტიანული საუფლო მეთქი, შევეპასუხე, მაგრამ არ დამიჯერა. კმაყოფილების გრძნობით გამშორდა. მეორე დილით სასტუმროს კაფეში დავინახე, თვითონაც შემამჩნია და აღმოსავლურად მომესალმა — სალამ ალეიქუმ, ბაღდადელო!

სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ ხვალ ან ზეგ პანისლამისტური სახელმწიფოს წარმომადგენელი გვეტყვის: ყოჩაღ თქვენ, ქრისტიანებო, ჩემი წინაპრის ე. ი. თქვენი დამპყრობლის მიერ აგებული თხმელის ციხის სახელი ბაღდადი (თუნდაც ბაღდათი) რომ უწოდეთ და შეუნარჩუნეთ რაიონსო.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ სადაც თხმელის ციხე აიგო, იმ დროისათვის იგი სოფლის განაპირა, უფრო სწორად, სოფელში შემოსასვლელ ადგილს წარმოადგენდა ალბათ, არ შეიძლება, დღევანდელი რაიონული ცენტრი მაშინ დასახლებული ყოფილიყო. რაიონის ძირძველ მკვიდრთ ახსოვთ, რომ ინტენსიურად დასახლებული დღევანდელი ცენტრი ოცდაათიანი წლების შემდეგ გაშენდა. მაშინ რატომ უნდა ეწოდოს მას დამპყრობლის მიერ აგებული თხმელის ციხის სახელი? შემოგარენიც გავითვალისწინოთ — ირგვლივ მდებარე სოფლები გასაქანს არ აძლევენ ცენტრს. მივაქციოთ ყურადღება, სად იწყება ფირნიშები წარწერებით — ქვედა დიმი, ფერსათი, ნერგეეთი... ფაქტია,რომ დღევანდელი რაიონული ცენტრი სწორედ აღნიშნული სოფლების ბაზაზე შეიქმნა.

დღეს რაიონის სახელდების საქმეში აჩქარებას შთამომავლობა არ გვაპატიებს. ნამდვილად მიკვირს, რატომ არ დაამშვენებს მას ისეთი სახელები, როგორიცაა: დიმი, საირმე, წიფლნარი და ა. შ. და ბოლოს ერთიც უნდა ვთქვათ: ღმერთმა ნუ ქნას, რომ ხვალ აღმოსავლური წესით თავი დახარონ და ხმამაღლა დამიძახონ — სალამ ალეიქუმ, ბაღდათელო!

**ბეჟან დახუნდარიძე**

რედაქციისაგან: ვახუშტი ზუსტად ასე არ ამბობს, თუმცა ბატონი ბეჟანი იმაში კია მართალი, რომ ოსმალებს „დასახლებული პუნქტისთვის" არ უწოდებიათ ბაღდადი... ერთი უბრალო მიზეზის გამო — ეს ადგილი, ციხის შემოგარენი, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დასახლებული პუნქტი, იქ არავინ ცხოვრობდა. იმ დროს ცოტა უფრო ზემოთ სახლობდა ხალხი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ვახუშტისათვის (და არა მარტო ვახუშტისათვის, საერთოდაც) ბაღდადი და თხმელის ციხე სინონიმები არ არის — „ამაზედ აღაშენეს ოსმალთა ციხე თხმელის ხისაგან, ქორონიკონსა ჩღგ ქართულსა ტუა, ამისთვის უწოდეს იმერთა თხმელის ციხე და პირველ ეწოდა ადგილსა ამას ბაღდადი". ყურადღება მივაქციოთ — თხმელის ციხე ციხის ქართული სახელია, ბაღდადი კი მიკროტოპონიმისა (ადგილსა ამას და არა ციხესა ამას). ყოველ შემთხვევაში, ამას ამჯერად არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა — მთავარი ისაა, რომ თხმელისციხე ქართველი კაცის დარქმეული, წმინდად ქართული სახელია, და იგი არამც და არამც არაა თურქული სიტყვის ქართული თარგმანი. ამაზე ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილ წერილში უკვე ითქვა და ხელახლა დასაბუთება აღარ უნდა იყოს საჭირო. საბოლოოდ კი ცხადი ეგაა — ბატონი ბეჟანი არც ბაღდათს უჭერს მხარს, არც თხმელისციხეს, სხვა ვარიანტებს გვთავაზობს განსასჯელად.

როგორ მოვიქცეთ — ბაღდათი, თხმელისციხე თუ?...